ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ბიძინა ივანიშვილი ახალ პარტიას ქმნის?

გვ.2



ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 2018 №241 (7786) ფასი: 60 თეთრი

# რუსთავი 2-ის ჟურნალისტ ეკა გაგუას და ოპერატორ ლევან კალანდიას ჩინელებმა სცემეს






გვ.7



ეს იყო ჩვეულებრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე. ეს იყო ხელის შეშლა ჟურნალისტურ საქმიანობაში, ეს იყო მუქარა და ფიზიკური ძალადობა იმის გამო, რომ ჩვენ გადავიღეთ ის პრობლემები, რომლებიც არსებობს ამ პროექტთან დაკავშირებით.



## ირაკლი ოქრუაშვილი: „ნაციონალებისგან გენერლის ჩინით რომ მოვდიოდი, ეგენი, ბიძინას ჩათვლით, ნაცებში სერჟანტობაზე ოცნებობდნენ“

გვ.4

„პოლიტიკაში დაბრუნებას არ ვაპირებ“

## გორის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა აქციის მონაწილეებს თავზე ნაგავი დააყარა

გვ.2



გიგა მაქარაშვილი: „ვინც საქართველოს ომის დაწყებაში დაადანაშაულებს, ყველასთან მივალთ“

## ლევან ყიფიანი: „ჩანაწერები მე და ოქუაშვილმა ერთად გავაკეთეთ, ის ამაში წილს შემპირდა“



გვ.6




„ფარცხალაძეს სარდაფი თუ აქვს, არც კი ვიცი. ივანიშვილთან შეხვედრა ოქუაშვილის თხოვნით მოხდა“

**სამართალი**



## ლევან აღდგომელაშვილი: „ლევან ყიფიანის ჩვენება მონაბოდია, ეს ადამიანი სინდის-ნამუსის დეფიციტს განიცდის“

გვ.7



## ლუკა ფალიანის მკვლელობის საქმიდან მტკიცებულებები გაქრა

ოჯახი სისხლის აღებით იმუქრება

ISSN 1987-9385

**3** რისთვის სჭირდება კრემლს ახალი კონფლიქტი კავკასიაში?

**2** სერგი კაპანაძე: „ქართული ოცნება“ მარიხუანის კანონპროექტის გათრევას აპირებს“

**3** დავით ლორთქიფანიძე: „ხელისუფლება უფრო მოქნილი უნდა იყოს“

**8** რუსეთი ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში ვერ დაბრუნდა

# სერგი კაპანაძე: „ქართული ოცნება“ მარიხუანის კანონპროექტის გათრევას აპირებს“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი სერგი კაპანაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის ორი თვით გადავადებაზე საუბრობს.**



***– ბატონო სერგი, საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი არ გამორიცხავდა, რომ კანონპროექტი კანაფის კულტივაციასთან დაკავშირებით შს სამინისტროს გაეწვია, თუმცა, ორი თვით მოხდა მისი გადავადება. თქვენ რას უკავშირებთ გადავადებას, რომ არჩევნები ჩავლილი იქნება, რომ დეკემბრისთვის უკვე წინასაახალწლო განწყობები იქნება ქვეყანაში თუ რას?***

– სწორედ ამ ყველაფერს ერთად ვუკავშირებ ამ კანონპროექტის ორი თვით გადადებას. მათ ძალიან მძიმე საზოგადოებრივი რეაქცია მიიღეს, როდესაც აღნიშნული კანონპროექტის შესახებ ცნობილი გახდა. რეაქცია ყველა მხრიდან იყო მძიმე და ძალიან უარყოფითი. მაშინ მათ შეაჩერეს, გადადეს, მაგრამ არა იმის გამო, რომ საზოგადოებრივი აზრი გაითვალისწინეს, არა, მათ შეეშინდათ. შეეშინდათ არჩევნების წინ ამ უარყოფითი რეაქციის, რომ საზოგადოების ამ რეაქციას შეიძლება მოჰყოლოდა მათთვის არასასურველი საარჩევნო შედეგი და ამიტომ გადადეს.

მაშინაც მოიტყუეს, მაგრამ ახლა ფიქრობენ, არჩევნებში წარმატებას მიაღწევენ და ამ კანონპროექტს მიუბრუნდებიან. ამ ყველაფრის შემდეგ აპირებენ, ეს საშინელება მიიღონ. ეს არის რეალობა. თან ამას აკეთებენ საზოგადოებასთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე, სრულიად მოუფიქრებლად და გაუაზრებლად.

***– როგორ ფიქრობთ, რატომ?***

– როგორც ჩანს, უნდათ, რომ იხეირონ ივანიშვილთან და ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ადამიანებმა. ჯამში ფიქრობენ, რომ გაიტანენ ისე, როგორც აქამდე ყველა არაპოპულარული ინიციატივა უპრობლემოდ გაიტანეს. მათ შორის, როგორც გაიტანეს საკონსტიტუციო ცვლილებები, პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები, მიუხედავად ხალხის განწყობისა.

ახლაც ზუსტად ასე ფიქრობენ, რომ ამ კანონპროექტსაც გაათრევენ, რადგან ასე მოისურვა მათმა ხელმძღვანელმა.

***– ამ კანონპროექტთან დაკავშირებით თქვენი პარტიის პოზიცია როგორია? თქვენ სად ხედავთ საფრთხეებს?***

– ამ კანონპროექტის შინაარსს ჩვენ არ ვიზიარებთ, მით უმეტეს ისე, როგორც შემოთავაზებულია. გაუგებარია, როგორ აპირებენ ამ ყველაფრის გაკეთებას. გაუთვლელია ეს ყველაფერი. ეს ძალიან ფაქიზი და საფრთხილო თემა არის.

ჩვენ პარტიის შიგნით ამ საკითხზე ერთიანი ინიციატივა ჯერ ჩამოყალიბებული არ გვაქვს. მათ შორის იმიტომაც, რომ საინტერესოა, თუ როგორ აპირებს ამის გაკეთებას ხელისუფლება, მაგრამ ის, რაც არის შემოთავაზებული და იმ მთავრობის პირობებში, რომელიც საქართველოს ჰყავს, ეს ძალიან ცუდი შედეგების მომტანი იქნება. ეს არის ცალსახა და ამიტომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ კანონპროექტს ვეწინააღმდეგებით.

***– შეიძლება საპატრიარქოს პოზიცია შეიცვალოს? საიას თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ თუ ორი თვის თავზე საპატრიარქოს პოზიცია შეიცვლება, ეს ცალკე განხილვის საგანი იქნება.***

– არ ვიცი, ამ სპეკულაციებს არ დავიწყებ, იქნება თუ არა საპატრიარქოს პოზიცია შეცვლილი და რა პოზიცია ექნებათ მათ. ეს ჩემთვის ცნობილი არ არის და ამიტომ ვერაფერს გეტყვით.

***– საპატრიარქოს პოზიციის ცვლილება ერთგვარი ტესტი იქნება, თუნდაც საზოგადოებისთვის?***

– ამ საკითხზე საზოგადოების პოზიციები ხელისუფლებისთვის კარგად არის ცნობილი. თუ ხელისუფლებას უნდა ამ პოზიციის გაზიარება, მაშინ ეს კანონპროექტი კი არ უნდა გადაავადოს ორი თვით, უნდა გაიწვიოს. კარგად გამოჩნდა მოსახლეობის განწყობები და ამიტომაც მიმართეს იმ ხერხს, რასაც მიმართეს.

ახლა ორი თვით გადავადება პირდაპირ არჩევნებს უკავშირდება და სხვას არაფერს. უბრალოდ, არჩევნების წინ არ მოისურვეს კონკრეტული ადამიანების, კონკრეტული პირების განაწყენება, ხმაური, მაგრამ არჩევნები ჩაივლის თუ არა, ისინი მიუბრუნდებიან ამ კანონპროექტს და გაიტანენ კიდეც.

***– გაიტანენ თუ შეიძლება ისე განვითარდეს მოვლენები, რომ კანონპროექტი გაიწვიონ?***

– ახლა, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ გაიტანენ.

# ბიძინა ივანიშვილი ახალ პარტიას ქმნის?



შორენა მარსაგიშვილი

**მრავალტანჯული და მრავალპარტიული ერი, შესაძლოა, კიდევ ერთი პარტიის შექმნის მომსწრე გახდეს. „ქართული ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ამ საერო საქმეს ბიძინა ივანიშვილი გააკეთებს.**

„ქართული ოცნების“ გარდა რომ კიდევ სხვა პარტიის გაკეთება აქვს გუმანში, ამაზე თავადაც ისაუბრა რამდენიმე წლის წინ. თქვა, რომ „ოცნების“ საპირწონედ შექმნიდა ოპოზიციას.

თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ეს ირაკლი ღარიბაშვილის გარშემო მოხდებოდა. მერე ყოფილი პრემიერი რატომღაც მთლიანად ჩამოწერეს, არადა ის საზოგადოებაში დღემდე სიმპათიებით სარგებლობს.

ნაციონალებიდან „ევროპული საქართველოს“ გამოყოფის შემდეგ ითქვა, რომ სწორედ ისინი ჩაანაცვლებდნენ „ოცნებას“.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ამბობს, რომ ივანიშვილის სამომავლო გეგმებში რაღაც დოზით „ევროპული საქართველოც“ შედის, მაგრამ ახალ პარტიას სულ სხვა ხალხისგან გააკეთებს.

– ახალი პარტიის შექმნას ივანიშვილი კარგა ხანია, რაც ფიქრობს. გასულ წელს მან ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, რომ ყველამ უღალატა და ახალი პარტია უნდა გააკეთოს.

ამ პარტიაში ძირითადად ძველი თაობის ხალხი იქნება. ისეთები, რომლებსაც ჭკუაც მოეკითხებათ და მათი ნდობაც შეიძლება. ივანიშვილს ძალიან უნდა, რომ მის გუნდში ვაჟა ლორთქიფანიძე იყოს, – ამბობს ჩვენი წყარო.

„ახალი თაობის“ ინფორმაციით, ახალ პარტიაში შეიძლება სოციალ-დემოკრატებიც შევიდნენ. დღეს ისინი „ოცნების“ კოალიციაში არიან. ახალ პარტიაში შეიძლება „ევროპულ საქართველოდან“ რამდენიმე ადამიანი გადავიდეს.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მთავარი მოლოდინები დავით ბაქრაძეს უკავშირდება. უკვე დიდი ხანია, ჭორაობენ იმაზე, რომ ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა პრეზიდენტი დავით ბაქრაძე გახდეს.

ამაზე საზოგადოებაშიც ბევრს ჭორაობენ. ხელისუფლება აშკარად ხალხს აღიზიანებს, თითქოს არჩევნების წაგება უნდათ.

ჩვენი წყარო ამბობს, რომ „ოცნება“ სწორედ არჩევნების წაგებას ჩალიჩობს და ეს უშუალოდ ივანიშვილის დავალებით კეთდება.

– ამერიკელებმა ბიძინა გააფრთხილეს, რომ თუ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდება, აშშ მას ანგარიშებს გაუყინავს. როგორც „გაზპრომის“ აქციონერი, ივანიშვილი ისედაც საფრთხის წინაშეა. ბუნებრივია, რომ მას არ უნდა ქონების დაკარგვა, – ამბობს ჩვენი წყარო.

მისივე თქმით, ბაქრაძის გაპრეზიდენტება არ იქნება ყოფილი ხელისუფლებისთვის ძალაუფლების გადაბარება, რადგან ივანიშვილი ახალ პარტიას ქმნის და მათ მოიყვანს ხელისუფლებაში.

# გორის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა აქციის მონაწილეებს თავზე ნაგავი დააყარა



## გიგა მაქარაშვილი: „ვინც საქართველოს ომის დაწყებაში დაადანაშაულებს, ყველასთან მივალთ“



შორენა მარსაგიშვილი

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები აგვისტოს ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულებას აგრძელებენ. 9 ოქტომბერს გორის მერის, თავზარაშვილის, განცხადებამ სრულიად საქართველოს თავზარი დასცა. მან ცხინვალის რეგიონიდან დევნილებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ.

მოგვიანებით მან ეს ემოციების მოზღვავებით ახსნა, მაგრამ ქართველ ერს ისე აღარ სჯერა ემოციების, როგორც მავანი ქართველი ჩინოვნიკის საფიცარ მოსკოვს – ცრემლების.

თავზარაშვილის თავზარდამცემმა განცხადებამ სამოქალაქო აქტივისტ გიგა მაქარაშვილსაც თავზარი დასცა. მან გადაწყვიტა, რომ თავის მეგობრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის „რუსეთი ოკუპანტია“ წევრებთან ერთად თავზარაშვილისთვის იქეთ დაეცა თავზარი.

ქართველ ჩინოსანს მარტო სიტყვით თავზარს ვერ დასცემ, ორგანიზაციის „რუსეთი ოკუპანტია“ წევრებმა პროტესტი ხორბლის და ნაკელის დაყრით გამოხატეს.

– გორის მერის განცხადებას ასე ვერ დავტოვებდით. ჩემს თანამოაზრეებთან ერთად გორის მერიასთან მივედი და პროტესტი გამოვხატეთ. სულ სამნი ვიყავით. კანონი არ დაგვირღვევია, მერიის შენობის წინ ხორბალი და გამხმარი ნაკელი დავყარეთ.

ჩვენ გორის მერისგან შენობიდან გამოსვლას და იმ სამარცხვინო განცხადებების გამო ბოდიშის მოხდას ვითხოვდით, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში გიგა მაქარაშვილმა.

მისი თქმით, აქცია მშვიდობიანად მიმდინარეობდა და, წესით, კონფლიქტი არ უნდა წარმოშობილიყო.

– მართალია, მერის განცხადება გავაპროტესტეთ, მაგრამ ხმისთვისაც არ აგვიწევია. მშვიდად ვლაპარაკობდით. აქცია როცა დავასრულეთ, ჩვენ მიერ დაყრილი ხორბალი და ხმელი ნაკელი ავკრიფეთ.

როდესაც იქაურობას ვალაგებდით, უკნიდან მომეპარა მერიის თანამშრომელი და ხორბალი თავზე ჩამომამხო, – ამბობს ჩვენთან საუბარში გიგა მაქარაშვილი.

მოგვიანებით გაირკვა, რომ კაცი, რომელმაც მაქარაშვილს ნაგავი დააყარა, გორის მერიის ადმინისტრაციის უფროსი თემურ მანველიშვილი იყო.

მაქარაშვილის თქმით, მანველიშვილის თავგამოდებაზე მერიის სიახლოვეს მყოფმა პოლიციამ მყისიერი რეაქცია მოახდინა. სამოქალაქო აქტივისტი სამართალდამცავებმა გამოკითხეს.

– იმედი მაქვს, გორის მერიის თანამშრომელიც გამოიკითხება, – ამბობს მაქარაშვილი.

სამოქალაქო აქტივისტი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ არავინ გაბედოს ომის დაწყებაში ჩვენი ქვეყნის დადანაშაულება.

– ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულება არის ქვეყნის ღალატი. ვინც ასეთ განცხადებას გააკეთებს, ყველასთან მივალთ და გავაპროტესტებთ, – განაცხადა სამოქალაქო აქტივისტმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „28 ოქტომბრის მერე არ მინდა ვიხილო გადაკეტილი ქუჩები და წინააღმდეგობის მოძრაობები“

## დავით ლორთქიფანიძე: „ხელისუფლება უფრო მოქნილი უნდა იყოს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტმა მარიხუანის კულტივაციის კანონპროექტის განხილვა ორი თვით გადადო. რას ნიშნავს ეს? ამ და სხვა საკითხებზე მე-8 მოწვევის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო დავით, პარლამენტმა ორი თვით გადადო მარიხუანის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის განხილვა. არსებულ ვითარებაში ეს რას ნიშნავს?***

– ძალიან ისეთი საკითხია. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ამ მოცემულობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ჩვენი ისტორიიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე.

***– თქვენ უჭერთ მხარს საქართველოში მარიხუანის კულტივაციას?***

– პირდაპირ, კატეგორიულად მისვამთ კითხვას და კატეგორიულად ჩემგან გინდათ მიიღოთ პასუხი. ამიტომ კატეგორიულად გიპასუხებთ, რომ მე არ ვუჭერ მხარს ჩვენს ქვეყანაში მარიხუანის პოპულარიზაციას.

ეს ისეთი საკითხია, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილში მხარდაჭერას არ იწვევს. ჩვენ გვჭირდება ძალიან ბევრი ქვეყნის გამოცდილების გაცნობა. უნდა ვიცოდეთ, სად, რომელ ქვეყანაში მოიტანა ასეთმა პრაქტიკამ დადებითი შედეგი.

***– არა მგონია, რომელიმე ქვეყანაში მარიხუანის წარმოებას სიკეთე მოეტანოს.***

– ჩემთვის ცნობილია, მაგალითად, საბერძნეთის მაგალითი, სადაც მსგავსი კანონი ძალაში შევიდა 2018 წლის მარტის შემდეგ, ანუ სულ რამდენიმე თვეა, რაც ეს კანონი მუშაობს. ამიტომ საბერძნეთის გამოცდილება არაფერს გვეუბნება. კანადაში ჯერ კიდევ არ არის მსგავსი კანონი ძალაში შესული. ჩემი ინფორმაციით, კანადაში კანონი 2019 წლის ბოლოდან უნდა ამოქმედდეს. ერთი წლის წინ მიიღეს კანონი და რეგულაცია ჯერ კიდევ არ არის ამოქმედებული. აშშ-ში ფედერალურ დონეზე მარიხუანის კულტივაცია ნებადართული არ არის. 10-მდე შტატში ხდება მარიხუანის კულტივაცია.

რამდენადაც ვიცი, ამ საკითხზე საპატრიარქოს თავისი პოზიცია აქვს.

***– საინტერესოა, ვის გონებაში მოიხარშა ეს იდეა და ვინ გვთავაზობს მარიხუანის კულტივაციის დაკანონებას?***

– დარწმუნებული ვარ, განხილვების დროს მინუსი და პლუსი აიწონება და უარყოფითი გადაწყვეტილება იქნება მიღებული. პარლამენტს თავისი ხედვა და სტრატეგია აქვს. შეიძლება პარლამენტს უნდა, რომ სახე შეინარჩუნოს. პარლამენტსაც არ უნდა წავართვათ იმის ნება, რომ კანონპროექტზე იმსჯელოს.

***– გონივრული არ იქნებოდა, მარიხუანის კულტივაციის შესახებ კანონპროექტი სასწრაფოდ გაეწვიათ? არ ეშინიათ, რომ ამ მიზეზით ახლა თუ არა, 2020 წლის არჩევნები წააგონ?***

– მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაშია მარიხუანის კულტივაცია დაკანონებული სამედიცინო მიზნით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ჰოლანდია, ისლანდია, დანია, ჩინეთი, გერმანია და ავსტრალია.

***– რაღა ცუდ რამეში ვედრებით?***

– იმის თქმა მინდა, რომ საჭიროა დიდი მასალა და მისი გაანალიზება, რა არის, რასთანაა დაკავშირებული. პოლიტიკოსების დიდი ნაწილისთვის ამ თემაზე საუბარი დიდი უხერხულობაა. გარკვეული ნაწილისთვის კი მიუღებელია, მაგრამ მსჯელობას და ლაპარაკს წინ არაფერი უდგას. მთავარია რაციონალური გადაწყვეტილება მიიღონ, რომელიც მომავალ თაობას არ დააზიანებს. ორი ბიჭის მამა ვარ, სპორტული წარსული მაქვს და ამ საკითხზე სხვანაირი ხედვა ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

საზოგადოების განწყობის მთავარი კატალიზატორია არჩევნები. თქვენ თქვით, 2020 წლის არჩევნებში ეს ყველაფერი ასახვას ჰპოვებსო. გეთანხმებით, ეს საკითხი სერიოზულ ასახვას ჰპოვებს 2020 წლის არჩევნებში კი არა, ახლანდელ საპრეზიდენტო არჩევნებზეც. ეს ისე უბრალოდ ვერ ჩაივლის.

ეს არის ძალიან სენსიტიური საკითხი, მაგრამ ამ თემაზე რომ არ დავილაპარაკოთ, ეს საქმეს არ წაადგება. არ შეიძლება იყოს დიპოლარული დამოკიდებულება, ან – ასე, ან – ისე.

***– არ ეშინიათ, რომ ამ საკითხის გამო, „ოცნების“ ძალიან ბევრი მომხრე შეიძლება არჩევანის წინაშე დადგეს, მისცეს სალომე ზურაბიშვილს ხმა თუ არ მისცეს?***

– ეს საკითხი 2018 წლის არჩევნებზე აისახება, მაგრამ ჩვენს ამომრჩეველზე ვერ იქონიებს იმ დონის გავლენას, რომ არჩევნების შედეგი შეცვალოს.

***– რატომ გგონიათ ასე?***

– იმიტომ, რომ ჩვენმა ამომრჩეველმა ძალიან კარგად იცის, რომ პრეზიდენტი არ არის ის ინსტიტუცია, რომელიც ამ კანონპროექტთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული გავლენის მატარებელი იქნება.

***– მაშინ არ უნდა იფიქრონ, რომ ვინც ზურაბიშვილს მისცემს ხმას, ის მარიხუანის კანონპროექტსაც უჭერს მხარს, რადგან ეს ორი სხვადასხვა საკითხია.***

– იმ შემთხვევაში, თუ ქალბატონი სალომე გახდება პრეზიდენტი, ეს ვერ იქნება არგუმენტი მარიხუანის კულტივაციის შესახებ კანონის მისაღებად. ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით. როდესაც მეორე მხარეს დგანან მწვალებლები და მკვლელები, რა თქმა უნდა, საზოგადოება მათ მხარს ვერ დაუჭერს.

***– მწვალებლები და მკვლელებიო, მაგრამ ზოგიერთი კანდიდატი რეკლამირებს, არ მივცეთ ხელისუფლებას უფლება, ვაზის ქვეყანა მარიხუანის ქვეყნად გადააქციოსო. ამაზე რას იტყვით?***

– განწყობებზე ეს, რა თქმა უნდა, მოქმედებს. ამის მთავარი კატალიზატორია არჩევნების დღე და შედეგი, რომელიც დადგება. ყველაფერი 29 ოქტომბერს გამოჩნდება. ჩვენი ხალხის გონიერებაში ეჭვი არ მეპარება. იმედი მაქვს, საზოგადოებას ისეთი რეაქციები ექნება, რომელიც იმ მოცემულობაში საზოგადოებას უნდა ჰქონდეს.

***– იმედი გაქვთ, რომ არჩევნების შედეგს***



***ხელისუფლებაზე გავლენა არ ექნება? საზოგადოებას ადეკვატური რეაქცია ექნება, თუკი ხელისუფლება ხალხის აზრს გაითვალისწინებს.***

– დიახ. გავლენას მოახდენს, მაგრამ არ მინდა ვიხილო საქართველოში რაღაც დესტრუქციული მოქმედებები, გადაკეტილი ქუჩები, წინააღმდეგობის მოძრაობები, რომელშიც ზოგი გულწრფელად მიიღებს მონაწილეობას, ზოგი ბოროტულად. არ მინდა ქვეყანა ბოროტი ძალების გამოყენების ასპარეზად იქცეს. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს აბსოლუტურად აქტიურად.

***– როგორ?***

– უნდა იყოს რეფორმირებულობის ზეხარისხი და საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია. რაც მთავარია, ამ შემთხვევაში საზოგადოების ჩართულობა უნდა იყოს განსაკუთრებული, რომ ამასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ დარჩეს.

ხომ ხედავთ, რა ხდება? საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, მკაცრი პასუხი გვექნებაო. საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი ნდობით აღჭურვილი ინსტიტუციაა და ჩემი გადმოსახედიდან მისი პოზიციის არგათვალისწინებით ჯანსაღი ვითარება არ შეიქმნება. ამიტომ არ მინდა ამ საკითხმა ჩიხურ მდგომარეობაში შეგვიყვანოს.

***– საჭირო იყო ხელისუფლების მხრიდან გვარამიასთვის პასუხის გაცემა? ვგულისხმობ კობახიძის საპასუხო რეაქციას. გვარამიამ ბოლოდროინდელი განცხადებით, ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგო და მთელი არასამთავრობო ორგანიზაციები გადაკიდა.***

– ქვეყანაში მთელი არასამთავრობო სექტორი ერთი მიმართულებისაა და აპრიორი ერთზე შეხება, ყველაზე შეხებას ნიშნავს. მინდა დავინახო სხვა არასამთავრობოების პროტესტი, რომელიც სხვა 12 არასამთავრობოს პოზიციას გააპროტესტებს.

***– ამ შემთხვევაში კოლეგიალობას იცავენ, ალბათ. ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებამ დაპირისპირება თავიდან არ უნდა აიცილოს?***

– ხელისუფლების მოქმედება მიზანდასახული უნდა იყოს, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ არ უნდა მოქმედებდეს. პოლიტიკაში არ შეიძლება ხისტი პოზიციების დაჭერა. პოლიტიკაში უნდა იყო მოქნილი და რბილი. არ შეიძლება კატეგორიულად ან ერთ მხარეს აფიქსირებდე პოზიციას, ან მეორე მხარეს.

არ ვამბობ, პლასტელინი უნდა იყო, პლასტელინი ძალიან ცუდია, მაგრამ როცა ხელისუფლებაში ხარ, უნდა იყო არა გაქნილი, არამედ მოქნილი. ხელისუფლება და საზოგადოება აბსოლუტურად ერთ პოზიციაზე მდგომი არ იქნება (ასეთი მოცემულობა არც გვინდა, სადაც განსხვავებული აზრი არ ექნებათ), მაგრამ ხელისუფლების ვალდებულებაა, ქვეყანა რყევების ფაზაში არ შეიყვანოს.

ამომრჩეველი მანდატს 4 წლით გაძლევს და გეუბნება, ქვეყანას და მე მომხედეო. ისეთი ნაბიჯები უნდა გადადგა, რომ საზოგადოებას არ შეუქმნა პრობლემის გადაუწყვეტელობის განცდა.

ნიკა გვარამია არის აქტორი, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ დაუფარავად მოქმედებს. მათ აქვთ ძალიან სერიოზული პიარსამსახურები, რომლებიც ამ ქვეყნის სასიკეთოდ არ მოქმედებენ.

***– თქვენ თქვით, რომ ხელისუფლებამ ქვეყანა რყევებში არ უნდა შეიყვანოს. ხელისუფლებამ თავისი მოქმედებით რყევები გამოიწვია?***

– არა, ვერ გამიგეთ. ისე არ გამოვიდეს ახლა, რომ... ჩემი ხელისუფლების წინააღმდეგ არაფერს ვამბობ. მე ზოგადად ვამბობ – ყველა ქვეყნის ყველა ხელისუფლების ვალდებულებაა, ქვეყანას რყევები აარიდოს, მაგრამ როდესაც ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, პოლიტიკაში შემორჩენილი არიან დამნაშავე პოლიტიკოსები, კრიმინალური პოლიტიკური პარტია, რომელიც შემდეგ გაიყო, ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებას სულ სხვა რაციონალური მიდგომა სჭირდება.

დიდი სიფრთხილეა საჭირო. მეორე მხარეს არიან კრიმინალები. დღეს ხელისუფლებას აშკარად შეურიგებელი პოზიცია აქვს. 28 ოქტომბრამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ვისურვებდი, რომ 28 ოქტომბრის შემდეგ ასეთი განწყობები შენარჩუნდეს და იმ ადამიანებმა პასუხი აგონ. მათი მხილება უნდა მოხდეს 2011-12 წლებში მებრძოლი ადამიანების მიერ, რომლებსაც ნაცმოძრაობა ვერ წამოაძახებს, ნაციონალი ხარო. დღეს ნაცყოფილებს ნაცმოძრაობა აძახებს, შენ ვინ ხარ, გუშინ ჩვენთან არ იყავითო.

***– ნაცმოძრაობის კანდიდატი აცხადებს, რომ პრეზიდენტობის შემთხვევაში შეიწყალებს სააკაშვილს, მერაბიშვილსაც, ახალაიებს და ყველას, ვისაც ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხი მოსთხოვეს.***

– გასაგებია. ადამიანები გეუბნებიან, რომ დავაბრუნებთ იმ სისხლიან რეჟიმს, რომელმაც 600-ზე მეტი პატიმარი მოკლა, 150 უდანაშაულო ახალგაზრდა ქუჩაში ჩახოცა, ჩვენი ტერიტორიების 20% დაკარგა (რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა), 150-ზე მეტ სოფელზე ჩვენი იურისდიქცია აღარ ვრცელდება.

ამიტომ, 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებამ ამ ადამიანების მიმართ კანონით ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს, ჩადენილი დანაშაულობებიდან გამომდინარე, პასუხისგებისთვის.

# რისთვის სჭირდება კრემლს ახალი კონფლიქტი კავკასიაში?

მარიამ მჭედლიშვილი

**ჩრდილოეთ კავკასიაში მღელვარება არ ცხრება. ინგუშეთში დაწყებული საპროტესტო მოძრაობა შეიძლება გაუთვალისწინებელ პროცესებში გადაიზარდოს. მწვავე კონფლიქტი ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის საზღვრის შესახებ შეთანხმების გამო დაემთხვა რუსეთის ფედერაციის აქტივობას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში.**

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი ირწმუნება, რომ საზღვრის თაობაზე შეთანხმება ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სუბიექტური გადაწყვეტილებაა, კრემლს ამასთან კავშირი არა აქვს და ის გაფორმდა რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან, ცნობილია, რომ ამ დოკუმენტის გაფორმებას ესწრებოდა პუტინის რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში ალექსანდრ მატოვნიკოვი, მისი შეფი პუტინი კი საქმის კურსში იყო ჩაყენებული ამ თემებზე.

კრემლის წარმომადგენელი მატოვნიკოვი იძულებული გახდა, რამდენიმედღიანი პროტესტის შემდეგ პიატიგორსკში შეხვედროდა ინგუშეთის საზოგადოების აღშფოთებულ წარმომადგენლებს.

ინგუშებს კონკრეტული მოთხოვნები აქვთ – უნდა გაიმართოს ხელახალი კენჭისყრა საზღვრის საკითხზე ინგუშეთის პარლამენტში. უკვე ჩატარებული კენჭისყრის შედეგების გახმიანება არ ხდება. არაერთი კანონმდებელი აცხადებს, რომ ამ საკითხის განხილვისას განიცადა ზეწოლა ინგუშეთის პრეზიდენტის, იუნუს-ბეკ ევკუროვის მხრიდან.

ინგუშეთის საზოგადოებას მიაჩნია, რომ საზღვრის მიმდებარე მიწების ახალი გადანაწილება დამაზიანებელია ინგუშეთის რესპუბლიკისათვის, ის ეწინააღმდეგება ინგუშეთის კონსტიტუციას და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობას.

ეთნიკური კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად ინგუშეთის საზოგადოებამ მოსკოვში ორი მიმართვა გაგზავნა.



მიმართვების ავტორების აზრით, გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა შეიძლება კავკასიაში არეულობა მოიტანოს. პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე გაგზავნილ წერილში ავტორები მოითხოვენ, რომ კრემლმა გამოგზავნოს კომისია, რომელიც დაწვრილებით შეაფასებს ვითარებას და გამოააშკარავებს კანონდარღვევებს საზღვრის დადგენის პროცესში.

ინგუშეთში ვინმეს, ალბათ, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების იმედი მართლაც აქვს, ან უნდა, რომ მოსკოვი არასტაბილურობით შეაშინოს.

ფაქტები ადასტურებს, რომ კრემლმა თვითონ მოახდინა ამ მოვლენების პროვოცირება ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მეთაურების დახმარებით, რომლებიც პუტინის გარეშე ნაბიჯს არ დგამენ. როგორც ჩანს, მოსკოვს კავკასიაში ახალი სცენარი აქვს ჩაფიქრებული და ის მარტო ინგუშეთსა და ჩეჩნეთის ტერიტორიას არ მოიცავს. რუსეთში ჯერ არ ჩამცხრალა ვნებები ბიოლოგიურ საფრთხეზე. რუსეთის ფედერაციის უწყებები ირწმუნებიან, რომ საქართველოში მოქმედ ლუგარის ლაბორატორიაში ამერიკელები ბიოლოგიურ იარაღს აწარმოებენ.

ამ მოვლენებს ემთხვევა ფსბ-ს ხელმძღვანელის, ალექსანდრ ბორტნიკოვის, განცხადება.

ბორტნიკოვმა მახაჩყალაში ანტიტერორისტულ თათბირზე განაცხადა, რომ მომდინარეობს მუქარა კავკასიაში მყოფი საერთაშორისო ტერორისტებისაგან. ისინი ცდილობენ ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას. საერთაშორისო ტერორისტები ფსონს დებენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტური ზონებიდან ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში დაბრუნებულ „ბოევიკებზე“. ტერორისტულ საქმიანობაში სულ უფრო ხშირად აბამენ ახალგაზრდებს. წელს სპეცსამსახურებმა აღკვეთეს რუსეთში დაგეგმილი 6 ტერორისტული აქტი.

# ირაკლი ოქრუაშვილი: „ნაციონალებისგან გენერლის ჩინით რომ მოვდიოდი, ეგენი, ბიძინას ჩათვლით, ნაცებში სერჟანტობაზე ოცნებობდნენ“

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მეოცნებეთა წყევლა-კრულვის ობიექტი გახდა. ბოლო პერიოდში ის მმართველ პარტიას სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსებით ნერვებს უშლიდა. გადაცემა „რეაქციაში“ მისმა გამოსვლამ „ოცნება“ წყობილებიდან გამოიყვანა.

გადაცემა ხეირიანად არ იყო დასრულებული, რომ მმართველი პარტიის ფანები სოციალურ ქსელში მის გმობას შეუდგნენ. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მმართველ გუნდს რამდენიმე საათით დააავიწყა მათი მთავარი თავის ტკივილი — ზაზა ოქუაშვილი.

გმობით გულნაჯერებმა მეოცნებეებმა ყოფილი მინისტრის წინააღმდეგ შავი პიარის აგორება გადაწყვიტეს. ახლა ისინი ასეთ აზრს ატარებენ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ნაციონალურ მოძრაობაში წევრიანდება.

ამ ჭორების გავრცელებას ხელს ნაციონალებიც უწყობენ. ისინი ექსმინისტრის განცხადებებს სოციალურ ქსელში აქტიურად აფრიალებენ. „რეაქციაში“ გაკეთებულმა განცხადებამ, ყველაფერს ვიზამ, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოშორდესო, ეჭვები კიდევ უფრო გააძლიერა.

გაჩნდა მოსაზრება, რომ ის აქტიურ პოლიტიკაში აპირებს დაბრუნებას. ამის მცდელობა მას ორჯერ ჰქონდა. 2014 წელს თვითმმართველობის არჩევნებში აპირებდა კენჭისყრას გორის მერად, მაგრამ კანონი შეცვალეს და ამის უფლება არ მისცეს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კი ესროლეს. მისი დაცვის ორი წევრი დაიჭრა. დამნაშავე მოგვიანებით დააკავეს.

ამის შემდეგ ოქრუაშვილი პოლიტიკას ჩამოშორდა, კარგა ხანს საერთოდ არ ჩანდა. ბოლო პერიოდში გააქტიურდა და ჭორებმაც არ დააყოვნა.

„ახალი თაობის“ კითხვაზე, დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში და რამდენად შესაძლებელია მისი ნაციონალებთან გაერთიანება, ირაკლი ოქრუაშვილი ასე პასუხობს:




— პოლიტიკაში დაბრუნებას არ ვაპირებ, ჯერჯერობით მაინც და, შესაბამისად, არც არავის და ვერც ვერავის შევუერთდები.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას ციხის საკანს ადარებს. ამბობს, რომ მმართველი პარტია განსხვავებულ აზრს ვერ იტანს და როგორც კი მათ გააკრიტიკებ, ეგრევე მიშისტის იარლიყს გაწებებენ.

მისი თქმით, სხვებს მიშისტობას ის ხალხი აბრალებს, ვინც ნაცებში სერჟანტის წოდების მიღებაზე ოცნებობდა.

— „ოცნებამ“ შექმნა ერთგვარი ციხის საკანი, რომელში ყოფნას ყველას აიძულებენ, მიუხედავად იმისა, მათი მხარდამჭერი ხარ თუ არა. როგორც კი ცდილობ, ამ საკანს თავი დააღწიო და, შესაბამისად, მათზე კრიტიკული რამ თქვა და აუხსნა, რომ ქვეყანა ჭაობშია, ეგრევე ნაციონალობას გაბრალებენ და მიშას იარლიყს გაწებებენ.

იმას ვერ ხვდებიან, რომ მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით უნდა შეხედო კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს. ამ ნიჭის არარსებობა კი მათ უინტელექტობაზე მეტყველებს. თუმცა, რა გასაკვირია. რა ინტელექტის ლიდერიც ჰყავთ, მთელი „ოცნების“ ელიტაც იგივეა.

არადა ნაციონალებზე მიწებებაზე გივი გუმბარიძის და ირაკლი წერეთლის ანეკდოტი მახსენდება, ირაკლიმ რომ უთხრა — შე სუკის აგენტოო. ნაციონალებისგან გენერლის ჩინით რომ მოვდიოდი, ეგენი, ბიძინას ჩათვლით, ნაცებში სერჟანტის წოდების მიღებაზე ოცნებობდნენ. იმას ვერ აცნობიერებს ვერც ერთი მხარე, რომ საზოგადოების ასე დაყოფა ანგრევს პირველ რიგში ქვეყანას, — აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ოქრუაშვილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ნაციონალებში გადაცემა „რეაქციაში“ გაკეთებული განცხადებების გამო გაამწესეს. სხვა მოლოდინი არც უნდა ყოფილიყო, ყოფილმა მინისტრმა მეოცნებეთა საპრეზიდენტო კანდიდატზე ისეთები ილაპარაკა, სხვა ქვეყანაში ამას დიდი პოლიტიკური სკანდალი მოჰყვებოდა.

აღსანიშნავია, რომ სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი ერთ პერიოდში იყვნენ მინისტრები. ერთი საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა, მეორე — თავდაცვას.

ოქრუაშვილის თქმით, როცა ზურაბიშვილი საქართველოს საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა, მასთან დაკავშირებით არაერთხელ დასმულა კითხვა, რუსული ინტერესების გამტარებელი ხომ არ იყო.

რატომ ჩნდებოდა ასეთი ეჭვები, ამას არ აკონკრეტებს. მიაჩნია, რომ შიდა სამზარეულოს გამოტანა კარგი არ იქნება.

— დროდადრო იყო გარკვეული საკითხები. საკმაოდ დელიკატური და პიკანტური შეიძლება იყოს იმ სამზარეულოს გარეთ გამოტანა, მაგრამ მასთან მიმართებაში კითხვები დროდადრო ისმებოდა. ბევრჯერ მასთან ნასაუბრები წინ დაგვხვედრია, — განაცხადა „რეაქციაში“ ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისი თქმით, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც შეიძლება საქართველოს პრეზიდენტი გახდეს, ლავროვის იდეოლოგიის მატარებელი და ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია.

ოქრუაშვილი ამბობს, რომ ის განცხადებები, რასაც ზურაბიშვილი აკეთებს, პრეზიდენტის რანგში გაცილებით სახიფათო გახდება, ვიდრე ახლაა.

— მისი რიტორიკა არ არის გაუაზრებელი და წამოცდენილი განცხადებები. ეს არის საკმაოდ გააზრებული განცხადებები, სხვის წისქვილზე წყლის დამსხმელი და, ამავე დროს, საკუთარი ქვეყნისთვის ზიანის მომტანი. ის იყო შერჩეული სპეციალურად ამისთვის ივანიშვილის მიერ და ვილაცების მიერ, ვინც ივანიშვილს ეს უკარნახა. სალომე ზურაბიშვილი, ბრჭყალებში რომ ვთქვათ და არაპირდაპირი გაგებით, ლავროვის თანაშემწეა, — აღნიშნა ექს-მინისტრმა.

მისივე თქმით, აგვისტოს ომში სააკაშვილის დადანაშაულება საკუთარი სამშობლოს დადანაშაულებას ნიშნავს.

— რამდენადაც არ უნდა გქონდეს ადამიანს გონება დაბინდული სააკაშვილისადმი, სუბიექტური თუ ობიექტური დამოკიდებულებების შედეგად, მისი დადანაშაულება ამ ომში არ შეიძლება.

მისი დადანაშაულება ნიშნავს საკუთარი სახელმწიფოს, საკუთარი სამშობლოს დადანაშაულებას. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს არის ჩვენი შვილების, ჩვენი ჯარისკაცების, ყველა იმ ადამიანის, ვინც გამოდევნეს საკუთარი სახლებიდან, ვინც დაბრუნდა, მაგრამ საკუთარი სახლები დამწვარი დახვდა, ყველა ასეთი ადამიანის შეურაცხყოფა, როცა ამბობ, რომ საკუთარი ქვეყანა არის დამნაშავე ამ ომის წამოწყებაში, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

გადაცემა „რეაქციაში“ მან ხელისუფლების შავ სალაროზე ისაუბრა.

— ყველა ნავთობკომპანია ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა დააჯარიმა 150 მილიონი ლარით. მერე ჩუმად სასამართლოში მიიჩქმალა ეს საქმე, ჩამოაწერეს ნავთობკომპანიებს ეს ჯარიმა და ანტიმონოპოლიურ სამსახურს დღემდე ახალი გადაწყვეტილება სამართალწარმოებით არ მიუღია.

ეს ფული გაქრა, რომელიც უნდა შესულიყო ბიუჯეტში, ფული, რომელიც კარტელური შეთანხმების შედეგად, ჩვენი ჯიბიდან ამოაქვთ ნავთობკომპანიებს ფასნამატის გამო, გაბერილი ფასების გამო, ხელისუფლების უკან ისევ ისე და უფრო დიდი მასშტაბით გრძელდება შავი სალაროს შევსება და ამაში ჩართული არიან უკვე არა მარტო ოფიციალური წარმომადგენლები, არამედ არაოფიციალური წარმომადგენლებიც, — აღნიშნავს ყოფილი მინისტრი.

ის საქმეების მთავარ მომგვარებლად ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს, უჩა მამაცაშვილს, ასახელებს.

— შიგნით ვინ არის ამის გადამწყვეტი, ყველამ ვიცით. რიგი დგას საქმეების მოგვარების უჩა მამაცაშვილთან და მაგ რიგში რომ მოხვდე, კარგი ბიჭი უნდა იყო და ძალიან მარიფათის პატრონი, რომ იმ რიგში წინ გადაგწიონ, — განაცხადა ოქრუაშვილმა.

# ბენზინი რეკორდულად გაძვირდა — ბოლო რამდენიმე დღეში საწვავის ფასმა 8 თეთრამდე მოიმატა

მოსახლეობა საწვავის გაძვირებას აპროტესტებს — ავტომობილების მფლობელები აცხადებენ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში, ბენზინგასამართ სადგურებზე მისულებს ბენზინის ფასი მნიშვნელოვნად 5-8 თეთრამდე მომატებული დახვდათ.

ექსპერტები დამაიმედებელ პროგნოზს ვერ აკეთებენ და ვარაუდობენ, რომ პროცესი სამომავლოდაც გაგრძელდება.

— საერთაშორისო ფასი გლობალურ ბაზრებზე არის მნიშვნელოვნად მომატებული. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის რეკორდულად მაღალი ფასები.

მეორე მხრივ, ბოლო თვენახევრის, ორი თვის განმავლობაში ლარი დოლარის მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა. შესაბამისად ამ ორმა მნიშვნელოვანმა კომპონენტმა განაპირობა, რომ ფასი გაიზარდა 5-8 თეთრით.

ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი მოქმედებს იმაზე, რომ მომავალში შესაძლებელია ამ ფაქტორიდან გამომდინარე და არა ლარის გაცვლითი კურსიდან გამომდინარე მოხდეს ფასების კორექტირება, — ამბობს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

ეკონომისტი ზვიად ხორგუაშვილი მთავრობას რეკომენდაციას აძლევს და აცხადებს, რომ შეუძლებელია ნავთობპროდუქტებსა და გაზზე აქციზის გადასახადი შემცირდეს.

— დღეს ერთი ლიტრი ბენზინიდან მწარმოებლები მთავრობას უხდიან დაახლოებით 50 თეთრს, მაგალითად, ეს რომ შემცირდეს 30 თეთრით და მოუწიოთ 20 თეთრის გადახდა, ეს ცალსახად ფასზე დადებითად იმოქმედებს და ფასს შეამცირებს. ყველაფერი ჯამში დაკავშირებულია მთავრობის ქმედებებთან, — ამბობს ხორგუაშვილი.

ნიუპოსტი





# ზურაბ ჯაფარიძემ ბანკ „ქართუს“ მილიონი ლარის სესხი მოსთხოვა „კამპანია უნდა ავაფეთქო“

„გირჩის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა, ზურაბ ჯაფარიძემ, ბანკი „ქართუსგან“ სესხად ერთი მილიონი ლარი მოითხოვა.

როგორც ჯაფარიძე განმარტავს, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, თუ პრეზიდენტობის კანდიდატი არჩევნებზე ხმების 10%-ს ან მეტს დააგროვებს, მას ეკუთვნის იგივე ოდენობის თანხა წინასაარჩევნო ხარჯების დასაფარად. ამ მუხლით ისარგებლა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც ბანკმა „ქართუმ“ 1 მილიონი ლარი ასესხა.

ჯაფარიძის თქმით, ბანკ „ქართუში“ მას უთხრეს, რომ იმ წუთას ბანკში არ იმყოფებოდა არც ერთი ადამიანი, რომელიც საქმის კურსში იყო, თუ როგორ მოხდა ერთი დღით ადრე სალომე ზურაბიშვილზე 1-მილიონიანი სესხის გაცემა.

— ძალიან ზრდილობიანი ხალხი იყო. დაიტოვეს ჩემი განაცხადი და ის საბუთები, რომლებიც ადასტურებდა, რომ მე ნამდვილად პრეზიდენტობის კანდიდატი ვარ. მომცეს თავიანთი საკონტაქტო ინფორმაცია, დაიტოვეს ჩემი ინფორმაცია, მითხრეს, რომ განიხილავენ. ანუ ამ მომენტში „ქართუ ბანკში“ განიხილება, მომცემენ თუ არა ერთ მილიონს სესხად იმისათვის, რომ დარჩენილ დღეებში გამოვიყენო და კამპანია ავაფეთქო, — განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

# გია არაბიძე: „100 მლნ დოლარს სხვა ქვეყნების ელექტროეკონომიკაში ვიხდით“

— დღეისთვის დაახლოებით, 700 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია გვაქვს შემოტანილი. სექტემბერ-დეკემბერი არის ის თვეები, როდესაც ყველაზე მეტი ელექტროენერგია შემოგვაქვს. საერთო ჯამში, წელს დაახლოებით, 1.5 მლრდ ელექტროენერგიის შემოტანა დაგჭირდება და მე ვერ ვხედავ გენერაციის ობიექტების ისეთ ინტენსიურ მშენებლობას, რომ გაისადაც არ დაგვჭირდეს. მიმაჩნია, რომ 2 მლრდ-ზე მეტი იმპორტი ჩვენს სისტემას გაუჭირდება. ამაზე მეტი მოცულობების შემოტანა ტექნიკურად და ეკონომიკურად პრობლემატურია, — განაცხადა არაბიძემ BM.GE-სთან საუბრისას და დასძინა, რომ „ეს საშუალოდ, წლიურად არის 100 მლნ დოლარი, რასაც აზერბაიჯანისა და რუსეთის ელექტროეკონომიკაში ვდებთ“.

მისივე ინფორმაციით, იმპორტირებული ელექტროენერგია დაახლოებით 10-15%-ით ძვირია, ადგილობრივი, საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე.

შეგახსენებთ, რომ საპროგნოზო ბალანსის მიხედვით, საქართველოში 2018 წლის ბოლომდე 1.430.1 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგიის იმპორტია დაგეგმილი.

# 2019 წლის პირველი იანვრიდან სავაჭრო ობიექტებში ხურდას — 1 და 2 თეთრს აღარ დააბრუნებენ

2019 წლის პირველი იანვრიდან 1 და 2-თეთრიან მონეტებს მიმოქცევიდან ამოიღებენ. ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდისას სავაჭრო ობიექტებში ხურდას – 1 და 2 თეთრს აღარ დააბრუნებენ.

ეროვნულმა ბანკმა იანვრიდან ასამოქმედებელი თანხის დამრგვალების მეთოდი დაამტკიცა. დოკუმენტს ხელი ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ მოაწერა.



დადგენილების მიხედვით, 1 და 2 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა დამრგვალდება ნაკლებობით 0-მდე; 3 და 4 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა დამრგვალდება მეტობით 5-მდე; 6 და 7 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა დამრგვალდება ნაკლებობით 5-მდე; 8 და 9 თეთრზე დამთავრებული გადასახდელი თანხა დამრგვალდება მეტობით 10-მდე.

— საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა მეწარმე სუბიექტი ვალდებულია, ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას იხელმძღვანელოს თანხის დამრგვალების მეთოდით, ხოლო უნაღდო ანგარიშსწორება განახორციელოს უცვლელად, ერთი თეთრის სიზუსტით, — აღნიშნულია დადგენილებაში, რომელიც პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

შეგახსენებთ, რომ 1 და 2-თეთრიანების მიმოქცევიდან ამოღება მათი დამზადების მაღალი ღირებულებით არის განპირობებული.

# ქართული და უცხოური ბანკები, რომელთაც საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრები საკუთარ ფულს ანდობენ

„კომერსანტი" დაინტერესდა, რომელ ბანკებს ენდობიან საქართველოს მთავრობის წევრები. აქვთ თუ არა მინისტრებს ანგარიშები უცხოურ ბანკებში და რა თანხა ირიცხება მათ საბანკო ანგარიშებზე.

2018 წელს შევსებული დეკლარაციით, რომელიც ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის პერიოდში შეავსო ამჟამინდელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, „საქართველოს ბანკის" სოლოს ანგარიშზე 8540 ლარი ერიცხებოდა. ამავე ბანკის საკრედიტო ანგარიშზე კი 0,73 ლარი. საქართველოს მთავრობის მეთაურს თიბისი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე 6,02 ლარი, შემნახველზე 1,37 ლარი, ვი-თი-ბი ბანკის მიმდინარე ანგარიშზე კი 131 ლარი ერიცხებოდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვიცე-პრემიერ გიორგი გახარიას დეკლარაციის შევსების მომენტში „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე 6.020 ლარი ჰქონდა. ვიცე-პრემიერს მიმდინარე ანგარიში „ვითიბი" ბანკშიც ჰქონდა, თუმცა თანხა არ ერიცხებოდა. წლის დასაწყისში მინისტრის მეუღლეს, მარიკა ფანცულაიას „საქართველოს ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 485 ლარი ჰქონდა, ხოლო დეპოზიტის ანგარიშზე 520.000 დოლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილს დეკლარაციის შევსების მომენტში „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ლარის ანგარიშზე თანხა არ ერიცხებოდა, ხოლო გირვანქა სტერლინგის ანგარიშზე 582 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა. ვიცე-პრემიერს მიმდინარე ანგარიში აქვს „ქართუ ბანკშიც", სადაც თანხა არ ირიცხება. ცქიტიშვილის მეუღლეს „საქართველოს ბანკში" მიმდინარე დოლარის ანგარიშზე 4.949 დოლარი ჰქონდა, ლარის ანგარიშზე 11924 ლარი, ხოლო გირვანქა სტერლინგის ანგარიშზე 523 გირვანქა სტერლინგი. ხატიაშვილს „საქართველოს ბანკის" საკრედიტო ანგარიშზე 29.951 დოლარი ერიცხებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, გიორგი ქობულიას „სითიბანკი მოსკოვის" მიმდინარე დოლარის ანგარიშზე 50 დოლარი ჰქონდა, ამავე ბანკის რუბლის ანგარიშზე 250.656 რუბლი, ხოლო ევროს ანგარიშზე 14 971 ევრო. ქობულიას ამავე ბანკის ანაბარზე 699 დოლარი, 20.000 რუბლი და 112.520 ევრო ჰქონდა. მინისტრს „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ევროს ანგარიშზე 14.780 ევრო ჰქონდა, ლარის ანგარიშზე 11.682 ლარი, 25.475 დოლარი და 44.040 გირვანქა სტერლინგი ერიცხებოდა. „საქართველოს ბანკში" დეპოზიტის სახით ჰქონდა 554 000 დოლარი, 500.000 ევრო და 160.000 გირვანქა სტერლინგი. მინისტრის მეუღლეს ოლგა კორსიკს „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ევროს ანგარიშზე 20.856 ევრო, 1.000 დოლარი, 3.000 რუბლი, 57 გირვანქა სტერლინგი და 92 ლარი ჰქონდა, დეპოზიტზე კი 40.000 დოლარი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დავით ზალკალიანს დეკლარაციის შევსების მომენტში „თიბისი ბანკის" სახელფასო ანგარიშზე



49.469 ლარი და 307 დოლარი ჰქონდა. მის მეუღლეს კი თი-ბი-სი ბანკში სახელფასო ანგარიშზე 404 ლარი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანს „თიბისი ბანკში" მიმდინარე ანგარიშზე 7.328 ლარი, 37.895 დოლარს და 9.484 ევროს ინახავდა, – „ვითიბი ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე 13.327 ევროს, 1.549 გირვანქა სტერლინგს და 3,63 დოლარს. მინისტრს „ცშ ჩ – ბანკის" ანგარიშზე – 248.900 დოლარი ჰქონდა. რაც შეეხება მის მეუღლეს მაია აგიაშვილს „საქართველოს ბანკში" ანაბარზე 128.119 დოლარი და 50.000 დოლარი ჰქონდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მიხეილ ბატიაშვილს დეკლარაციის შევსების მომენტში „თიბისი ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე 1.396 ევრო ჰქონდა. „საქართველოს ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე კი 20.005 დოლარი და 10.131 ევრო. სახელფასო ანგარიშზე ბატიაშვილს 26.960 ლარი ერიცხებოდა. ბატიაშვილი „საქართველოს ბანკის" საკრედიტო ანგარიშზე 79.785 ლარს ინახავდა. მინისტრის მეუღლეს „თიბისი ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 579 ლარი ერიცხებოდა, ხოლო ანაბარზე 11.356 დოლარი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს „თიბისი ბანკის" საკრედიტო ანგარიშზე 3.200 დოლარი, „საქართველოს ბანკის" სახელფასო ანგარიშზე კი 7.627 ლარი ჰქონდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილს „თიბისი ბანკში" დეპოზიტის ანგარიშზე 15.254 ლარი და 7 დოლარი ჰქონდა. მიმდინარე ანგარიშზე კი 320 ლარი. დავითაშვილი „რესპუბლიკა ბანკის" მიმდინარე ანგარიშზე ინახავდა 233 ლარს, ხოლო „საქართველოს ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 1.674 ლარს. მინისტრის მეუღლე თეა ფარქოსაძეს საქართველოს ბანკის მიმდინარე ანგარიშზე 5.023 ლარი ერიცხებოდა, საკრედიტოზე კი 5.210 ლარი.

უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ დეკლარაცია ბოლოს 2017 წელს შეავსო. მაშინ მინისტრის „საქართველოს ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 3.004 ლარი ირიცხებოდა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს „საქართველოს ბანკის უნივერსალურ" ანგარიშზე 1.749 ლარი ჰქონდა, პრემიუმ ანაბარზე 900 ევრო, საბავშვო ანაბარზე 701 ლარი. „ბანკი ქართუს" საბარათე ანგარიშზე 66 თეთრი ერიცხებოდა. რაც შეეხება წულუკიანის მეუღლეს ნუგზარ კაკულიას ლიბერთი ბანკის ელექტრონულ საფულეზე 4.931 ლარი ჰქონდა.

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ქეთევან ციხელაშვილს ,,თიბისი ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 515 ლარი, 300 დოლარი და 87 ევრო ჰქონდა ხოლო ანაბარზე 2.241 დოლარი და 1.030 ევრო ერიცხებოდა. რაც შეეხება მის მეუღლეს არმინ ჰუთენლოხერს „პოსტბანკ ნუერნბერგში" მიმდინარე ანგარიშზე 15.000 ევრო ჰქონდა.

# „მეტრა დეველოპმენტს" სამშენებლო ნებართვების მოტყუებით მოპოვების მცდელობაში ადანაშაულებენ

„მეტრა დეველოპმენტი" ბაგების უბანში მეტრა პარკის უშუალო სიახლოვეს ახალი პროექტისთვის ბუნებრივი ლანდშაფტის განადგურებას, კლდის მასშტაბური მასივის 10-15 მეტრის სიღრმეზე ნგრევას და 70 მდე არსებული ხე-ნარგავის მოჭრას გეგმავს.



ამის თაობაზე „მეტრა პარკის" უკვე არსებული მობინადრეები აცხადებენ. მათი თქმით, ისინი „მეტრა პარკის" მიერ არიან მოტყუებულნი, რამდენადაც, თავის დროზე, სწორედ ბუნებრივი ლანდშაფტის გამო შეიძინეს კომპლექსში ბინები. „მეტრა დეველოპმენტის" მენეჯმენტს მინიშნებითაც კი არ უთქვამს არასდროს, რომ მათი საცხოვრებლის მომიჯნავედ და უშუალო სიახლოვეს გიგანტური ახალი კომპლექსის აშენებას გეგმავდა, რომელიც მათ საცხოვრისს ყოველგვარ საბაზრო თუ ესთეტიკურ ღირებულებას დაუკარგავდა.

გარდა ამისა, „მეტრა დეველოპმენტს" უჩივიან ასევე კომპლექსის მიმდებარედ არსებული რამდენიმე ნაკვეთის მეპატრონეებიც, რომელთა ე.წ. წითელ ხაზებსაც პირდაპირ ესაზღვრება „მეტრას" ახალი მრავალსართულიანი „ბეტონის პროექტი", რომლის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლადაც სამშენებლო კომპანია უკვე მერამდენედ მიმართავს მერიას.

მობინადრეები და მიმდებარე ნაკვეთის მეპატრონეები აცხადებენ, რომ „მეტრა" ყველა დაუშვებელი გზით და ხერხით ცდილობს მერიის სამსახურების შეცდომაში შეყვანას, ადგილმდებარეობის გეოლოგიური საფრთხის წინაშე დაყენებას, არსებული მობინადრეების უფლებების უხეშად დარღვევას და სამი მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობის დაწყებას.

თუკი „მეტრა" მაინც მოახერხებს და მოიპოვებს სამშენებლო ნებართვებს, ეს იქნება სამშენებლო ვანდალიზმი. კატეგორიულად მოვითხოვთ აღნიშნულ პროექტზე სამშენებლო ნებართვების გაცემის შეჩერებას და ჩვენი უფლებების დასაცავად, ნებართვის გაცემამდე საკითხის განხილვის პროცესში თბილისის მერიისგან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩართვას, – აცხადებენ მობინადრეები.

მათი თქმით, გაუგებარია, რატომ ხდება, რომ მერია, მიუხედავად მათი ოფიციალური და კანონიერი მოთხოვნისა, ისე იწყებს სამშენებლო ნებართვის გაცემის პროცესს, რომ მათ წარმომადგენლობით უფლებას არ სცნობს და არ რთავს განხილვის პროცესში.

– იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მხოლოდ გაუგებრობაა, თბილისის მერია ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც საკუთარი კონცეფციის ერთგული დარჩება და არ დაუშვებს ნებართვის გაცემას პროექტზე, რომელსაც ქალაქის ცენტრში, ურთულეს რელიეფზე, არსებული საცხოვრებელი ზოლის უშუალო სიახლოვეში, კლდოვანი ლანდშაფტის მასიური ნგრევა და ათეულობით ხენარგავის ჭრა მოჰყვება. დროა დეველოპერის ფინანსურმა ინტერესმა უკან დაიხიოს მოსახლეობის უფლებათა და ბუნების წინაშე, – აცხადებენ „მეტრა პარკის" არსებული მობინადრეები.

**კომერსანტი**

# დავით ნარმანია: „სწორი ანალიზია საჭირო იმის დასადგენად, თუ რა სეგმენტი ამბობს, რომ უჭირს"

Unicef-ის კვლევის მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 69% ღარიბია, 24% სიღარიბის ზღვართან ახლოს, საშუალო კლასს მხოლოდ 7% წარმოადგენს.



თბილისის ყოფილი მერი დავით ნარმანია ქვეყანაში სიღარიბის მაღალ მაჩვენებელზე საუბრისას აცხადებს, რომ სახელმწიფოს მიერ დასაქმებასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შემდგომ კვლევას უკეთესი მაჩვენებელი უნდა ჰქონოდა.

– სწორი ანალიზია საჭირო იმის დასადგენად, თუ რა სეგმენტია ის, ვინც ამბობს, რომ უჭირს, რადგან ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რაც დასაქმებას და დამატებითი შემოსავლების გაჩენას უნდა უწყობდეს ხელს. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში გახსნილი საწარმოები, „დანერგე მომავალი", რომელიც სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამაა. ასევე ჯანდაცვის ხარჯების შემცირების ნაწილი, როდესაც სახელმწიფო მოქალაქეებს ოპერაციების თანადაფინანსებაში ეხმარება, გასათვალისწინებელია საყოველთაო დაზღვევაც, რაც მოსახლეობის ჯანდაცვაზე ჯიბის ხარჯებს ამცირებს. საინტერესოა, მსგავსი სახის პროექტები მოსახლეობაზე რატომ ვერ აისახა, ამ საკითხს მეტი სიღრმისეული კვლევა სჭირდება, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის ყოფილი მერი კვლევის დროს თავად მოქალაქეების მხრიდან თვითშეფასების პრობლემასაც ხედავს.

– კვლევის დროს ხშირია ფაქტები, როდესაც მოქალაქეები საკუთარი თავის შეფასებას ახდენენ, ისინი გარკვეულ გარემოებებს არ ითვალისწინებენ და სუბიექტურები არიან, ამიტომ მეთოდოლოგიას და კვლევას მეტი კონკრეტიკა სჭირდება," – აღნიშნა ნარმანიამ.

კომერსანტის კითხვაზე, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებელი იზრდება და ამ დროს სიღარიბის მაჩვენებელიც მაღალია, როგორ ახსნით ამ უკუპროპორციულ დამოკიდებულებას?

ნარმანია გვპასუხობს, რომ ამ შემთხვევაშიც სიღრმისეული ანალიზია საჭირო შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნეგატიური საინფორმაციო ველი ხშირ შემთხვევაში პოზიტიურს ფარავს და მოსახლეობის განწყობებზე მოქმედებს, – განაცხადა ყოფილმა მერმა.

# ეროვნული ბანკის რეგულაციებმა ტექნიკის ბაზარს გაყიდვები 20%-ით შეუმცირა

– საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სესხის გაცემაზე ამოქმედებულმა რეგულაციებმა ტექნიკის ბაზარს გაყიდვები 20%-ით შეუმცირა, – ეს განცხადება „ტექნო ბუმის" დამფუძნებელმა **ანზორ ქოქოლაძემ** „კომერსანტთან" საუბარისას გააკეთა. ქოქოლაძე რეგულაციებს ხისტს უწოდებს:

თემას ანზორ ქოქოლაძე სამ ნაწილად ყოფს:

პირველი – რამდენად სწორი იყო მიზანი? – ჩემი აზრით, ქვეყანაში არსებული ჭარბვალიანობიდან გამომდინარე ვთვლი, რომ მიზანი არის სწორი.

მეორე – რამდენად სწორი ნაბიჯები გადადგა ეროვნულმა ბანკმა? – ნაბიჯები იყო ხისტი. სებ-ს შეეძლო რბილი ნაბიჯების გადადგმა. მაგალითად, ერთ-ერთი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც დაუზუსტებელი შემოსავლით გაცემული სესხები 25 პროცენტზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო. ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე პირველ ეტაპზე შეიძლება ყოფილიყო 40-პროცენტიანი ზღვარი, შემდეგ – 30, დროის ამ ინტერვალში კი ბიზნესიც და მოსახლეობაც მოახერხებდა ადაპტაციას.

მესამე – რა შედეგებს მოუტანს ეს ეკონომიკას და საზოგადოებას. – ის, რომ ჩვენ ასე სწრაფად მივიღეთ ახალი რეგულაციები, ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე მოახდენს გავლენას და მოახდინა კიდეც, როდესაც ეკონომიკურმა ზრდამ აგვისტოს თვეში 2 პროცენტი შეადგინა. ჩემი აზრით, ეს არ იყო ერთჯერადი მოვლენა და უახლოესი 6 თვის განმავლობაში არ ველოდები, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი მაღალი იქნება, – აცხადებს ანზორ ქოქოლაძე.



# ლევან ყიფიანი: „ჩანაწერები მე და ოქუაშვილმა ერთად გავაკეთეთ, ის ამაში წილს შემპირდა“

**გუშინ, 10 ოქტომბერს, მთავარმა პროკურატურამ ლევან ყიფიანის ჩვენება გაასაჯაროვა.**

**სპორტის ყოფილი მინისტრი კატეგორიულად უარყოფს ყოფილ მთავარ პროკურორთან, ოთარ ფარცხალაძესთან კონფლიქტს.**

**„რაც შეეხება ჩემი და ოთარ ფარცხალაძის კონფლიქტს, მერე ამაზე მიბმულ თრილერს სარდაფთან დაკავშირებით, ეს სრული სისულელეა. ოთართან ნორმალური ურთიერთობა მაქვს და არანაირი კონფლიქტი, მით უმეტეს, სერიოზული, არასდროს მქონია მასთან.**

**ეს არის ის ინფორმაცია, რაც ვიცი საქმესთან დაკავშირებით“, — ნათქვამია ლევან ყიფიანის ჩვენებაში.**





**„ფარცხალაძეს სარდაფი თუ აქვს, არც კი ვიცი. ივანიშვილთან შეხვედრა ოქუაშვილის თხოვნით მოხდა“**

კითხვაზე, მოწმეთა განმარტებით, 2016 წელს ლევან ყიფიანმა ოფისში მისვლისას განაცხადა, რომ ოთარ ფარცხალაძე მისივე ოფისის სარდაფში ფიზიკურად გაუსწორდა და გაუპატიურებით ემუქრებოდა, ასევე მას სახეზე თითქოსდა ეტყობოდა ფიზიკური ძალადობის კვალი, რამდენად შეესაბამება აღნიშნული რეალობას, ლევან ყიფიანმა განაცხადა, რომ აღნიშნული არანაირად არ შეესაბამება რეალობას.

„მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და, შესაბამისად, მე მსგავსი საუბრები არავისთან არ მქონია. ოთარ ფარცხალაძესთან მაქვს საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა და მე მასთან არანაირი სახის კონფლიქტი არ მქონია.

ჩანაწერი, სადაც მე ვსაუბრობ ავარიაზე, ხოლო ზაზა ოქუაშვილი აკონკრეტებს და საუბრობს ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, არის ინსცენირება და დადგმულია ზაზა ოქუაშვილის ინიციატივით. მისი თქმით, უცხოელი პარტნიორებისათვის გაცილებით დამაჯერებელი იქნებოდა, თუკი ჩანაწერში ვისაუბრებდით ფიზიკურ ანგარიშსწორებასა და შეურაცხყოფაზე.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ არანაირ კონფლიქტს, ჩემს მიმართ განხორციელებულ ძალადობას/მუქარას ოთარ ფარცხალაძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, არც მისი ოფისის სარდაფში არ ვარ ნამყოფი და ისიც არ ვიცი, აქვს თუ არა საერთოდ სარდაფი. შესაბამისად, არანაირი სამედიცინო დაწესებულებისათვის მე არ მიმიმართავს“ — აღნიშნულია ჩვენებაში.

მისი ინფორმაციით, ზაზა ოქუაშვილს და ბიძინა ივანიშვილს შორის შეხვედრა ზაზა ოქუაშვილის თხოვნის შესაბამისად შედგა.

როგორც ყიფიანი ჩვენებაში აცხადებს, „ეს იყო წმინდად ბიზნესის ორი წარმომადგენლის შეხვედრა“.

„2015 წლიდან, მას შემდეგ, რაც დავტოვე მინისტრის თანამდებობა, მუშაობა დავიწყე „ომეგა ჯგუფში“. ჩემს უშუალო მოვალეობას წარმოადგენდა საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებთან, ინსტიტუტებთან კლიენტის ბიზნესის საქმიანობაში მხარდაჭერა, ჩემს პირად პასუხისმგებლობას და ვალდებულებას წარმოადგენდა ჯგუფში შემავალი ნებისმიერი კომპანიის ინტერესების დაცვა დანაკარგებისა და ხარჯების თავიდან აცილება.

აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მე ვახორციელებდი ჩემს საქმიანობას. იმ პერიოდისთვის კომპანიის საქმიანობისას პრობლემატური იყო უცხოური კომპანიების მხრიდან დემპინგური ფასები, რაც საფრთხეს უქმნიდა თამბაქოს ადგილობრივ წარმოებას და, შესაბამისად, საფრთხე ექმნებოდა „ომეგა ჯგუფის“ საქმიანობას და დასაქმებულ მუშახელს.

ამ მიზნით მე დავაორგანიზე შეხვედრა იმდროინდელ ბიზნესომბუდსმენთან გიორგი გახარიასთან და ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. გიორგი გახარია ამ პერიოდისთვის მუშაობდა ბიზნესომბუდსმენის თანამდებობაზე და მიმაჩნია, რომ იყო საკმაოდ წარმატებული თავის საქმიანობაში. მე არაერთხელ შევსწრებივარ მთავრობის სხდომებზე, როდესაც ხდებოდა გარკვეული საკითხების განხილვა, ყოველთვის იყო საუბარი, რომ გიორგი გახარია აქტიურად იყო ჩართული ყველა პრობლემატური საკითხის მოგვარებაში და ყველა შემთხვევაში იცავდა მეწარმის ინტერესებს. ამ მიზნით იგი ამყარებდა კავშირებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან და ცდილობდა მეწარმის პოზიციების მაქსიმალურად დაცვას.

რაც შეეხება ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მასთან შეხვედრა მოხდა უშუალოდ ზაზა ოქუაშვილის თხოვნით. ეს იყო წმინდად ბიზნესის ორი წარმომადგენლის შეხვედრა. საუბარი შეეხო ზოგადად ქართულ წარმოებას და იმ პრობლემებს, რაც ქართულ თამბაქოს გააჩნდა.

გამომდინარე იქედან, რომ ყველასთვის ცნობილია ბატონი ბიძინას დამოკიდებულება ქვეყნის განვითარების და ქვეყანაში ქართული წარმოების მიმართ, ზაზა ოქუაშვილი სწორედ ამ მიზნით იყო ბატონ ბიძინასთან მისული. მან გააცნო საკუთარი ხედვა ქართული თამბაქოს წარმოების განვითარების შესახებ.

კერძოდ, იდეა შეეხებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ქართული თამბაქოს გაშენებას და ზოგადად ამ დარგის აღორძინებას, რაც საკმაოდ დიდ ინვესტიციას მოითხოვდა, რაზეც ბატონმა ბიძინამ აღუთქვა დახმარება. კერძოდ, განუმარტა, რომ ზაზა ოქუაშვილს შეედგინა საკუთარი გეგმა და ხედვა, გაეწერა, როგორ ესახებოდა ქართული თამბაქოს განვითარება, რაც თავის მხრივ შექმნიდა დამატებით სამუშაო ადგილებს და ბატონი ბიძინა გამოთქვამდა მზაობას, დახმარებოდა ზაზა ოქუაშვილს.

აღნიშნულ საკითხზე და საერთო ბიზნესის განვითარებაზე იყო კიდევ საუბრები და ფაქტობრივად ბატონი ბიძინა გამოთქვამდა მზაობას დაგვხმარებოდა აღნიშნულ ბიზნესში.

იგი ვერ უწევდა უცხოურს კონკურენციას, იყო დემპინგური ფასები. ასევე, თუ სწორად მახსოვს, საუბარი იყო რაღაც კრედიტთან დაკავშირებით. ცხადია, მე მქონდა პირადი დაინტერესებაც, რადგან ამ ბიზნესის განვითარების შემთხვევაში მე ვხდებოდი აღნიშნული ბიზნესის მოწილე, შესაბამისად, ამ პროექტის განვითარებისთვის არაერთხელ შევხვდი ბატონ ბიძინას პირადად“ — აღნიშნავს ყიფიანი პროკურატურისთვის მიცემულ ჩვენებაში.

ლევან ყიფიანის ჩვენებაში „თიბისი ბანკიდან“ თანხის გატანის ეპიზოდზეც არის საუბარი.

„რაც შეეხება უშუალოდ თანხის ბანკიდან გატანის მომენტს 2016 წლის აპრილის თვეში, აბსოლუტურად ვერ ვხვდები, რა არის ამაში ან სკანდალური, ან უკანონო.

ოქუაშვილმა მითხრა, რომ ოფშორული კომპანიის ანგარიშზე ჩარიცხავდა ფულს და მთხოვა, დავხმარებოდი ამ კომპანიის დირექტორატს, რომელსაც ისევ „ომეგელები“ წარმოადგენდნენ, ფულის სწრაფ „გაქეშებაში“. ეს ჩემი მოვალეობა იყო და არაფერი ექსტრაორდინარული ამ დავალებაში არ იყო.

ზოგადად, ოქუაშვილი იმ პერიოდში სულ ქეშით ოპერირებდა არა მარტო პირადი ხარჯებისთვის, არამედ ბიზნესში. მახსოვს, მცხეთაში რაღაცას აშენებდა და ქეშით აფინანსებდა ხარჯების დიდ ნაწილს. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ „ომეგას“ ჯგუფში შემავალი კომპანიის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, შესაძლოა, მომხდარიყო მისი ბიუჯეტის სასარგებლოდ წარმართვა.

ამავდროულად, იმ პერიოდისთვის „ომეგა ჯგუფს“ გააჩნდა დავალიანება სს „საქართველოს ბანკის“ წინაშე, რომელიც ითხოვდა სესხის დაფარვას, შესაბამისად, „ომეგა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების ანგარიშზე თანხის გამოჩენა საფუძველს მისცემდა სს „საქართველოს ბანკს“, დაეყადაღებინა ანგარიშები.

მოკლედ, 2016 წლის აპრილში, ლონდონში გამგზავრებამდე, ზაზა ოქუაშვილი შემხვდა ოფისში და მითხრა, რომ მას სჭირდებოდა თანხის ე.წ. გაქეშება“ და ვინაიდან თვითონ თბილისში არ იქნებოდა, მიმექცია ბიჭებისთვის ყურადღება, რათა პრობლემები არ შექმნოდათ. მითხრა აგრეთვე, რომ კომპანიის დირექტორებად ნიშნავდა „ომეგას“ ჩვეულებრივ თანამშრომლებს, ხაჩიშვილს და ფანქველაშვილს.

2016 წლის აპრილში, თარიღები ზუსტად არ მახსოვს, ორ ეტაპად მოხდა თანხის განაღდება, რომელიც მიიღო კომპანიის დირექტორმა ალექსანდრე ხაჩიშვილმა.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე სს „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისში მე, ნიკოლოზ ასანიძე და გიორგი ქურდაძე, დავით ფანქველაშვილი და ალექსანდრე ხაჩიშვილი მივედით. თავიდან „თიბისი ბანკის“ ოპერაციების მმართველი უარს აცხადებდა ამ ოდენობის თანხის ერთჯერადად გაცემაზე, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ზაზა ოქუაშვილი და ზოგადად ჩვენი ჯგუფი იყო „თიბისი ბანკის“ კლიენტი, ბანკმა გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და სწრაფად გასცეს თანხა. „გაქეშებულ“ თანხებთან მე შეხება არ მქონია და ორივე შემთხვევაში ეს ფული, რამდენადაც მახსოვს, დაბრუნდა ოქუაშვილის კუთვნილ „ბე ემ ვე“-ს ცენტრში.

ქეშის ტრანსპორტირების ორგანიზებაც ოქუაშვილმა მოახდინა (მანქანები და ასე შემდეგ), მაგრამ იმის გამო, რომ მე ფულს არ გავყოლილვარ, გადაჭრით ვერ გეტყვით, „ბე ემ ვე“-ში მიიტანეს მერე ეს თანხები, თუ მის რომელიმე სხვა ოფისში, მაგალითად, „იბერიაში“, — აცხადებს ჩვენებაში ლევან ყიფიანი.

მისი განცხადებით, 2016 წლის 21-22 აპრილს, როდესაც „თიბისი ბანკიდან“ „ომეგა ჯგუფის“ წარმომადგენლებმა 4 მილიონი გაიტანეს, ის პირადად რამდენჯერმე ესაუბრა ყოფილ გენერალურ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს და მას თანხის გატანისას დახმარება სთხოვა.

თუმცა, ამავე ჩვენებაში ყიფიანი ამბობს, რომ საბოლოოდ, ფარცხალაძის დახმარება მათ არ დასჭირდათ. ასევე ყიფიანი აცხადებს, რომ მას ბანკში ყოფნისას მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებთან რაიმე სახის კომუნიკაცია არ ჰქონია.

„მედიაში გასულ ინფორმაციას, რომ მე საუბრები თითქოს მქონდა გიორგი გახარიასთან, არ ვადასტურებ; რაც შეეხება ოთარ ფარცხალაძეს, როგორც აღვნიშნე, მე საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს ოთართან და იმ დღესაც ბანკში მისვლამდე და ბანკში ყოფნის პერიოდში, არაერთი საუბარი მქონდა მასთან. ვინაიდან ვიცოდი, რომ ოთარი იყო ბიზნესით დაკავებული და საბანკო სექტორში ჰყავდა ბევრი ნაცნობი, მას ვთხოვდი, რომ დაგვხმარებოდა სს „თიბისი ბანკი“-დან თანხის გამოტანაში.

დახმარება შეიძლება დაგვჭირვებოდა იმ ფაქტის გამო, რომ საკმაოდ გვიან, დაახლოებით, 17:30 საათისთვის მოგვიწია ბანკში მისვლა და შესაძლოა, ბანკის სამუშაო საათებში ვერ მოგვესწრო თანხის განაღდება და სწორედ ამ საკითხში მინდოდა ოთარის დახმარება.

ოთარი დაინტერესდა, რომელ ფილიალში ვიმყოფებოდი, რა ოდენობის თანხაზე იყო საუბარი, ფიზიკური პირის თუ კომპანიის ანგარიშზე იყო თანხა ჩარიცხული, ამ მიზნით ჩვენ შორის შედგა რამდენიმე სატელეფონო საუბარი, თუმცა ბოლოს „თიბისი ბანკის“ მხრიდან არ შეიქმნა არანაირი პრობლემა და, შესაბამისად, ოთარის დახმარება არ გახდა საჭირო, რის შესახებაც შევატყობინე კიდეც მას.

შესაბამისად, არც ოთარ ფარცხალაძე და არც სხვა რომელიმე ამ თანხის განაღდებაში არ დაგვხმარებია, რადგან, როგორც აღვნიშნე, დახმარება არც იყო საჭირო — ბანკმა გამოთქვა მზაობა, რომ მოეხდინა ანგარიშზე არსებული თანხის გაცემა ჩვენთვის, — აღნიშნულია ყიფიანის ჩვენებაში.

❖ ❖ ❖

ლევან ყიფიანი ფარული ჩანაწერების შესახებაც საუბრობს.

„ზოგი ეპიზოდი ზაზა ოქუაშვილმა და მე ჩავწერეთ რამდენიმე დუბლად, რადგან ოქუაშვილი თვლიდა, რომ მე მაკლდა დამაჯერებლობა — ანუ მიწუნებდა არტისტიზმს, რაც მართლა არ არის ჩემი ძლიერი მხარე, — ნათქვამია ლევან ყიფიანის დაკითხვის ოქმში.

ის დეტალურად იხსენებს, თუ როგორ მოხდა სატელეფონო აუდიოჩანაწერების გაკეთება. ამასთან, ლევან ყიფიანი იმ პერიოდზეც საუბრობს, თუ როგორ დაუკავშირდა ზაზა ოქუაშვილი მას და როგორ სთხოვდა სახელმწიფო ორგანოების წინაშე შუამდგომლობა, რომ მომხდარიყო „ომეგა ჯგუფის“ დავალიანების რესტრუქტურიზაცია.

„ივლისის თვეში მე მოვახერხე ახალ ფინანსთა მინისტრთან შეხვედრის ორგანიზება, რომელიც კონფლიქტით დასრულდა და ფაქტიურად ჩაიშალა, რადგან მინისტრ მაჭავარიანს ხისტი მიდგომა ჰქონდა ერთხელ გაკეთებული რესტრუქტურიზაციის შემდგომ დაგროვილ 20 მილიონ ლარ დავალიანებაზე და ითხოვდა საერთო დავალიანებიდან, რაც ჯამში 50 მილიონს შეადგენდა, ამ 20 მილიონის მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში დაფარვას, ხოლო ოქუაშვილი ძალიან ხანგრძლივ განწილვადებას, თუ სწორად მახსოვს, თვეში ასი ათასის გადახდას ითხოვდა.

როგორც აღვნიშნე, შეხვედრა ჩაიშალა და ოქუაშვილმა მითხრა, რომ ჩემს მიმართ არსებულ მსხვილ სახელფასო დავალიანებას ვერ გამისტუმრებდა, რადგან ბიზნესს კარგავდა და მე მას საკითხს ვერ ვუგვარებდი.

ასეც დავშორდით.

რამდენიმე დღეში ოქუაშვილი კვლავ დამიკავშირდა და შეხვედრისას შემომთავაზა, რომ თუ მსურდა სახელფასო დავალიანების დაფარვა და უფრო მეტიც, საერთო ბიზნესის სანაცვლოდ მთავაზობდა მისი სიგარეტის ბიზნესის წილში უსასყიდლოდ შესვლას (საუბარი იყო ქარხნის 10 პროცენტზე), მე უნდა დავხმარებოდი მას გარკვეული ჩანაწერების ფაბრიკაციაში.

სქემა ასეთი იყო: ის მოამზადებდა გარკვეულ ტექსტებს ჩემი და მისი დიალოგების სახით, სადაც გამოიკვეთებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა კორუფციული ინტერესები ომეგას ბიზნესის მიმართ. ჩვენ ამ წინასწარ გაწერილი სცენარით ვისაუბრებდით და ამ საუბრებს იგი ღიად ჩაიწერდა, მაგრამ გამოიყენებდა, როგორც ვითომ ფარულ ჩანაწერს. სქემის მიხედვით, ოქუაშვილი აღნიშნულ ჩანაწერებს გამოიყენებდა უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას, კერძოდ, მათ დაარწმუნებდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს თითქოსდა უხდიდა დიდი ოდენობით თანხას, რის გამოც ვერ ასრულებდა პარტნიორთა წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს.

ზაზა ოქუაშვილი ვარაუდობდა (როგორც თავად მეუბნებოდა), რომ უცხოელი პარტნიორები ვალდებულების შესრულების ვადას გადაუვადებდნენ, — აცხადებს ლევან ყიფიანი.

ის ყვება, რომ ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ოქუაშვილი ხსენებულ ჩანაწერებს გაავრცელებდა მედიასაშუალებებით, რადგან ყველა შეხვედრისას ზაზა ოქუაშვილი მას არწმუნებდა, რომ მას აღნიშნული ჩანაწერი უნდა გამოეყენებინა მხოლოდ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისას.

„სწორედ ამ არგუმენტით დამიყოლია და მეც შევცდი და დავთანხმდი. გარდა ამისა, მან მითხრა, რომ ამ საქმეში მას გვერდში ედგა ირაკლი ჩუბინიშვილი, ოღონდ არ დაუკონკრეტებია, რა ფორმით.

ჩანაწერების აბსოლუტური უმრავლესობა, რაც გავრცელდა მედიაში ჩემი მონაწილეობით, არის ჩემი და ზაზა ოქუაშვილის მიერ ინსცენირებული და ჩაწერილია ღიად მის ოფისში. ზოგი ეპიზოდი ჩავწერეთ რამდენიმე დუბლად, რადგან ოქუაშვილი თვლიდა, რომ მე მაკლდა დამაჯერებლობა — ანუ მიწუნებდა არტისტიზმს, რაც მართლა არ არის ჩემი ძლიერი მხარე. იყო შემთხვევები, რომ ხისტ ფორმულირებებს ითხოვდა, რაზეც ვერ მიყოლიებდა და ვწერდით ხოლმე თავიდან.

მიუხედავად ამისა, ჩანაწერების ნაწილი, რაც მედიით გავრცელდა და რაც ჩვენ, მე და ოქუაშვილმა, წინასწარი შეთანხმებით და რეპეტიციების გავლით ჩავწერეთ, მაინც სერიოზულად გადამონტაჟებულია, — ნათქვამია ლევან ყიფიანის გამოკითხვის ოქმში.

# რუსთავი 2-ის ჟურნალისტ ეკა გაგუას და ოპერატორ ლევან კალანდიას სცემეს

გუშინ, 10 ოქტომბერს, თავდასხმა მოხდა „რუსთავი 2“-ის გადამღებ ჯგუფზე – „კურიერის“ ჟურნალისტ ეკა გაგუას და ოპერატორ ლევან კალანდიას სცემეს.

ფიზიკურად ჟურნალისტებს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს საქართველოს ოფისის წარმომადგენლები გაუსწორდნენ.

„კურიერი“ რეპორტაჟს რკინიგზის ახალი მაგისტრალის მშენებლობის დროს გამოვლენილ დარღვევებზე ამზადებდა. ვიდეომასალის გადაღების დროს კი ჩინური კომპანიის წარმომადგენლებმა „კურიერის“ ჟურნალისტს კამერა წაართვეს და მოპოვებული ვიდეომასალის წაშლა სცადეს.

რამდენიმე საათის განმავლობაში ტელევიზიის კუთვნილი ტექნიკა კომპანიის წარმომადგენლებს ჰქონდათ ჩაკეტილი.

ჟურნალისტი ეკა გაგუა და ოპერატორი ლევან კალანდია იმედს გამოთქვამენ, რომ ის პირები, რომლებიც მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ, კანონის შესაბამისად დაისჯებიან.

დაზარალებულები უკვე გამოკითხეს ხაშურის პოლიციაში, ორივე მათგანს გორის საექსპერტო ბიუროში ექსპერტიზაც ჩაუტარდა.

ჟურნალისტისა და ოპერატორის თქმით, სხეულზე დაზიანებები აღენიშნებათ.

– ეს იყო ჩვეულებრივი თავდასხმა ჟურნალისტებზე. ეს იყო ხელის შეშლა ჟურნალისტურ საქმიანობაში, ეს იყო მუქარა და ფიზიკური ძალადობა იმის გამო, რომ ჩვენ გადავიღეთ ის პრობლემები, რომლებიც არსებობს ამ პროექტთან დაკავშირებით.

კომპანიის მხრიდან მას შემდეგ არანაირი კომუნიკაცია არ ყოფილა. პოლიცია მოვიდა, უკვე ისინი გარშემო იდგნენ და ჩვენთან აღარ მოსულან. გაგრძელდება ძიება და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ძიება შედეგიანი იქნება და ის ადამიანები, ვინც იქ იყვნენ და ვინც ძალიან კარგად ჩანან ჩვენს კადრებში, დაისჯებიან, – განაცხადა ეკა გაგუამ.



ოპერატორმა ლევან კალანდიამ ინციდენტი დეტალურად გაიხსენა.

– მოგვთხოვეს, რომ მასალა, რაც გადავიღე, ჩიპი მიმეცა, ჩიპი არ მივეცი, ამან აგრესია გამოიწვია და მომთხოვეს, რომ კამერა მიმეცა. კამერა არ მივეცი, მაგრამ იძულებული ვიყავი, რომ კამერა მიმეცა, რადგან კამერა წამართვეს, რამდენიმე კაცი იყო, სხვა გზა არ გვქონდა. ამასობაში ჩიპის ამოღება მოვახერხე, – განაცხადა ლევან კალანდიამ.

ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს მუდმივმოქმედმა ჯგუფმა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტისა და ოპერატორის ცემის ფაქტზე განცხადება გაავრცელა.

„დღეს დილით, დაახლოებით ათ საათზე, მეცხრე გვირაბის აღმოსავლეთ პორტალთან (ქვიშხეთის სამშენებლო უბანი) „რუსთავი 2“-ის გადამღები ჯგუფი ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და უსაფრთხოების აღჭურვილობის გარეშე, უნებართვოდ შეიჭრა სამშენებლო მოედანზე, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები და სპეციალური უსაფრთხოების აღჭურვილობის გარეშე შესვლა აკრძალულია.

ჩვენი კომპანიის თანამშრომლების მიერ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, გადამღებმა ჯგუფმა მაინც არ დატოვა ტერიტორია და პროვოკაციული გზით შეეცადა ჩვენი კომპანიის თანამშრომლებთან კონფლიქტში შესვლას.

ვწუხვართ მომხდარის გამო, ჩვენი მიზანი დახურულ სამშენებლო მოედანზე ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. მზად ვართ ვითანამშრომლოთ დაინტერესებულ პირებთან“ – ნათქვამია განცხადებაში.

შს სამინისტრომ გამოძიება ჟურნალისტისთვის ხელის შეშლის მუხლით დაიწყო, რაც ჯარიმას ან 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ლუკა ფალიანის მკვლელობის საქმიდან მტკიცებულებები გაქრა

### ოჯახი სისხლის აღებით იმუქრება



მესტიაში 26 წლის ლუკა ფალიანის მკვლელობის ამსახველი ვიდეოკადრი საქმიდან წაშლილია.

ოჯახს ეჭვი აქვს, რომ მტკიცებულება პროკურატურამ განზრახ გაანადგურა და ლუკა ფალიანის მკვლელობაში ბრალდებულებს ხელისუფლება მფარველობს.

ოჯახი მკვლელობაში ბრალდებულების სვანური წესებით გასამართლებით იმუქრება და ამბობს, რომ რადიკალურ ნაბიჯებამდე ხელისუფლების უმოქმედობამ მიიყვანა.

– გააკეთონ თავისი საქმე, ისე, რომ ჩვენ აქ მკვლელობა არ ჩავიდინოთ. არც ნიგურიანი მოვკლათ, არც მუშკუდიანი, არც ქურდიანი მოვკლათ, რად უნდათ ის თავხედები. ექვსივე მკვლელია ეს. რატომაა იცი ეს ექვსივე მკვლელი? ზოგი იჭერდა, ზოგი არტყამდა, – ამბობს ლუკა ფალიანის დედა როზა ფალიანი.

ლუკა ფალიანის მამა ამბობს, რომ მკვლელები ან კანონით უნდა დაისაჯონ, ან თავად ოჯახი მიხედავს ამ საქმეს.

ლუკა ფალიანი მესტიაში ზაფხულში მოკლეს. შს სამინისტროს მკვლელობაში ბრალდებული ერთი პირი ჰყავს. ფალიანის ოჯახი ამტკიცებს, რომ, ნიგურიანის გარდა, მკვლელობაში კიდევ ხუთი პირი მონაწილეობდა.

ფალიანების მტკიცებით, მკვლელობაში მონაწილე ყველა პირი კრიმინალურ სამყაროსთან დაახლოებულია.

## რუსთავის საქალაქო სასამართლოში გიორგი ჭანტურიას საქმეზე არსებითი სხდომა ჩატარდა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებულ გიორგი ჭანტურიას საქმეზე არსებითი სხდომა ჩატარდა.

მოსამართლე მადონა მაისურაძემ გიორგი ჭანტურიას კიდევ ერთხელ განუმარტა მისი უფლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არჩევის თაობაზე და პოზიციის დაფიქსირება სთხოვა.

ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ამ მოცემულობისათვის ის მზად არ არის, რადგან ეგონა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა მოსამართლემ წინასასამართლო სხდომაზე უკვე დაასრულა.

როგორც სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლე მადონა მაისურაძემ განაცხადა, თუ შემდეგ სხდომაზე გიორგი ჭანტურია არ დააფიქსირებს მკაფიო პოზიციას და უარს არ იტყვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ნაფიცი მსაჯულების შერჩევის სხდომას ის თავად ჩანიშნავს.

ჭანტურიას ადვოკატი ბექა ბასილაია აცხადებს, რომ სასამართლო ამ შემთხვევაში არაუფლებამოსილია და ჭანტურიას მიმართ, კანონის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

– გრძელდება ჩადებული მოწმეების პროცესი. დღეს უკვე გვაქვს მძიმე სიტუაცია, სასამართლო წავიდა სერიოზულ პროცედურულ დარღვევებზე, რომელმაც წაართვა გიორგი ჭანტურიას ნაფიც მსაჯულთა არჩევის უფლება. დღეს არსებითად განმხილველი მოსამართლე ცდილობს, რომ მოახდინოს ამ საკითხის რესტავრაცია, თუმცა წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილების შეფასებაში არ შედის, რომ ეს იყო უკანონო, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. თუ არ მიეცა სასამართლო სხდომის გადაწყვეტილებას შესაბამისი შეფასება, შეუძლებელია შემდეგი პროცესები განხორციელდეს კანონის შესაბამისად.

დღევანდელი მოსამართლე იყო არაუფლებამოსილი მოსამართლე. თუ მოსამართლემ შეფასება არ გააკეთა, ჩვენ ვიქნებით ჩაკეტილ, უკანონო წრეში, სადაც გვეყოლება ჩადებული მოწმეები, იარაღები და გვექნება შეკერილი საქმე. მართლმსაჯულება ვერ განხორციელდება, ეს იქნება მსხვერპლად შერჩეული გიორგი ჭანტურიას მიმართ შურისძიება, – განაცხადა ადვოკატმა ბექა ბასილაიამ სხდომის დასრულების შემდეგ.

გენერალი სამსონ ქუთათელაძე, ე.წ. სტამბოლის ბაზრის ტერიტორიაზე საკუთარ კაბინეტში 15 იანვარს ნახეს მოკლული. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან 6 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

გიორგი ჭანტურია სამართალდამცავებმა 8 თვის შემდეგ, რუსთავში, ყაზბეგის ქუჩაზე მამის საცხოვრებელ სახლში 7 აგვისტოს, ღამით ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ დააკავეს.

სახლიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნებია ამოღებული. სისხლის სამართლის საქმე გიორგი ჭანტურიას მიმართ, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისში, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ერთ-ერთი კომპანიის დირექტორმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით დაამზადა და გაასაღა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და სასაქონლო ზედნადებები 106.000 ლარის ღირებულების საქონლის ფიქტიურ მიწოდებაზე.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით.

## ზუგდიდთან ფოლკსვაგენმა 12 წლის ბიჭი გაიტანა და მოკლა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 12 წლის ბიჭი დაიღუპა.

მეზობლების ინფორმაციით, ის ქვეითად გადაადგილდებოდა, რა დროსაც „ფოლკსვაგენის“ მარკის ავტომანქანა შეეჯახა.

შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო.

## ავარია გორში — დაშავებულია ორსული

გუშინ, 10 ოქტომბერს, გორში ავარია მოხდა.

ჭავჭავაძის ქუჩაზე ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა ორსული ქალი, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

შსს-მ მომხდარზე გამოძიება 176 მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

## თბილისში კორპუსიდან 20 წლის ბიჭი გადმოხტა და დაიღუპა

თბილისში, ბერბუკის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსიდან 20 წლამდე მამაკაცი გადმოხტა. ახალგაზრდა ადგილზე დაიღუპა.

როგორც „ნიუპოსტოს“ აცნობეს, შემთხვევის ადგილზე საპატრულო და სასწრაფო დახმარების ბრიგადები იყო მობილიზებული.

## ლევან აღდგომელაშვილი: „ლევან ყიფიანის ჩვენება მონაბოდია, ეს ადამიანი სინდის-ნამუსის დეფიციტს განიცდის“

„ომეგა ჯგუფის“ გენერალური დირექტორი ბოდვას უწოდებს ლევან ყიფიანის ჩვენებას, რომელიც თბილისის პროკურატურამ გამოაქვეყნა.



სკანდალური აუდიო ჩანაწერების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი ლევან ყიფიანი ჩვენებაში ჰყვება, რომ ჩანაწერები ზაზა ოქუაშვილის გადაწყვეტილებით მომზადდა და იმის გამო, რომ ის მითითებებს კარგად ვერ ასრულდება, „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი მას არტისტიზმს უწუნებდა.

ლევან აღდგომელაშვილი აცხადებს, რომ ტყუილია ის ინფორმაცია, რომ ჩანაწერების გაკეთება ზაზა ოქუაშვილის სურვილი იყო.

– ეს არის მონაბოდი. არავის არ სჭირდება, მით უმეტეს, თუ მას არტისტული ნიჭის დეფიციტი აქვს, არავის არ დასჭირდებოდა აბსოლუტურად მისი მსგავსი განცხადებების გაკეთება და ჩაწერა შემდეგ.

არტისტულ ნიჭზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ სინდის-ნამუსის დეფიციტს ნამდვილად განიცდის ეს ადამიანი. ეს ჩანს უკვე მისი ბოლო საჯაროდ გაკეთებული განცხადებიდან, – განაცხადა ლევან აღდგომელაშვილმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ქიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**ნათელა სამუშია:** თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# რუსეთი ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში ვერ დაბრუნდა

ევროპის საპარლამენტო ასამბლეის 9 ოქტომბრის სხდომას ყველა მოუთმენლად ელოდა. ამ დღეს ასამბლეას ისტორიული გადაწყვეტილება უნდა მიეღო. იხილებოდა რეზოლუცია, რომელიც რუსეთს ფაქტობრივად სანქციებს მოუხსნიდა და ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში (პასე) დასაბრუნებლად გზას გაუხსნიდა.

რუსეთმა ამ მხრივ ტიტანური სამუშაო გასწია.

– რუსები აქტიურად მუშაობდნენ როგორც პასეს ცალკეულ დელეგაციებთან, ასევე მის ხელმძღვანელობასთანაც, – განაცხადა უკრაინული დელეგაციის წევრმა ალექსეი გონჩარენკომ.

ევროპის პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ რუსებმა პასეს გენერალურ მდივანს იანგლანდს დიდძალი ფული გადაუხადეს. თავად იანგლანდმა, ბუნებრივია, ეს უარყო. ის თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ რუსეთისთვის სანქციების მოხსნაზე ლაპარაკიც არაა. უბრალოდ, ძველი რეგლამენტი მოძველდაო, ამტკიცებდა იანგლანდი. მას არავინ დაუჯერა. მაშინ მან პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის პასეში დაბრუნებას მხარს უჭერს, რადგან მოსკოვისადმი სანქციების დაწესებით აშკარა კონფრონტაციაზე მივდივართო.



– ევროპას რუსეთთან კონფრონტაცია არ სჭირდება, – თქვა იანგლანდმა.

პასეს ხდომა უჩვეულოდ ბობოქარი გამოდგა. როცა სიტყვა გენერალურმა მდივანმა იანგლანდმა აიღო, მოხდა გაუგონარი რამ: დეპუტატების უმრავლესობა ფეხზე წამოდგა და პროტესტის ნიშნად სტვენა და ხმაური ატეხა.

საბოლოოდ 99-მა დეპუტატმა არსებული კანონის კომიტეტში დაბრუნება მოითხოვა. წინააღმდეგ წავიდა 79. დანარჩენებმა თავი შეიკავეს. კანონის მიღება, რაც რუსეთს პასეში დაბრუნებისთვის გზას გაუხსნიდა, გადაიდო. ის შესაძლოა იანვარში განიხილონ.

უკრაინის პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირინა გერაშჩენკოს აზრით, რუსებისთვის სასურველი რეზოლუციის მიღება ვეღარ მოხერხდება. უკრაინელებმა მიაღწიეს იმას, რომ დადგენილებაში რიგი შესწორებები შევიდა და ამით რუსეთის მიმართ სანქციების შემცირება ან გაუქმება კიდევ უფრო გართულდება.

## მაიკ პომპეოს ნიკი ჰეილი შეცვლის?!



გაეროში აშშ-ის წარმომადგენლის ნიკი ჰეილის გადადგომას შეიძლება მოულოდნელი გაგრძელება მოჰყვეს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნოემბრის არჩევნების შემდეგ ტრამპი გრანდიოზულ საკადრო ცვლილებებს გეგმავს. შესაძლოა, თანამდებობები დატოვონ თავდაცვის მინისტრმა მატისმა და სახელმწიფო მდივანმა პომპეომ.

ნიკი ჰეილი სახელმწიფო მდივნის პოსტზე ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილება.

## რა მოხდა ჩერნიგოვის მახლობლად?



როგორც უკვე ვწერდით, სოფელ იჩნიასთან (ჩერნიგოვის მახლობლად) უკრაინის არმიის კუთვნილი სამხედრო საწყობი აფეთქდა. იჩნიას მოსახლეობა დროულად იქნა ევაკუირებული. ოპერატიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად ხანძრის ლოკალიზაცია მოხერხდა, მაგრამ აფეთქების შედეგად დიდძალი სამხედრო ტექნიკა განადგურდა.

უკრაინის უშიშროების სამსახურმა მომხდარის სამი ვერსია წარმოადგინა:

1) დივერსია, რომლის მიზეზიც ობიექტზე რუსული დივერსიული ჯგუფის შეღწევა გახდა; 2) სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევა; 3) სამხედრო ტექნიკის გაყიდვა და ამის დასაფარად აფეთქების მოწყობა.

– ჩვენს ძალოვნებს მივმართავ: უმოკლეს დროში ამ საკითხთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხი მაგიდაზე უნდა მედოს. დამნაშავენი, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, დაისჯებიან, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

## ჟურნალისტ მარინოვას მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს



გერმანიაში ბულგარელი ჟურნალისტის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სევერინ კ. დააკავეს. მას ბრალად ჟურნალისტ ვიოლეტა მარინოვას მკვლელობა ედება.

სევერინ კ. გერმანიაში ბულგარეთიდან ჩავიდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ძალები დგანან მის უკან და ვინ შეუკვეთა ჟურნალისტის მკვლელობა.

## გაიშიფრა სკრიპალების მოწამვლაში კიდევ ერთი ეჭვმიტანილი



გაიშიფრა მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლაში კიდევ ერთ ეჭვმიტანილი. აქამდე ის ფიგურირებდა როგორც პეტროვი. მისი ნამდვილი გვარია მიშკინი და ის გრუ-ს ოფიცერია.

მიშკინი მისმავე თანასოფლელებმა ამოიცნეს.

უკვე დადასტურებულია, რომ მამა-შვილი სკრიპალების მოწამვლის მცდელობა რუსეთის სამხედრო დაზვერვამ (გრუ) განახორციელა. ამან საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის პოზიციები კიდევ უფრო შეარყია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ესპანეთში წყალდიდობის შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა

ესპანეთში, მაიორკაში ძლიერი წვიმით გამოწვეული წყალდიდობის შედეგად ცხრა ადამიანი დაიღუპა.

ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების სამსახური ავრცელებს. დაღუპულებს შორის დიდი ბრიტანეთის ორი მოქალაქეა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, რამდენიმე ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

ძლიერი წვიმების გამო, საფრთხის გაზრდილი დონე გამოცხადებულია მალაგაში, ბარსელონაში, ჟირონასა და ტარაგონაში.

## ძვირადღირებული სექს-თოჯინა ნამდვილი გოგონა ეგონათ

ამერიკის ოჰაიოს შტატში პოლიციამ ტყეში სექს-თოჯინა აღმოაჩინა და ის დაღუპულ გოგონად ჩათვალა.

ინციდენტი ქალაქ ცინცინატის მახლობლად მოხდა. პოლიციელებმა გზის მახლობლად ტყეში ნაგვის ტომარა იპოვეს, რომლის შიგთავსი ცხედარს წააგავდა. სამართალდამცავებმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი გამოიძახეს, თუმცა ნაპოვნი მის მოსვლამდე ამოიღეს ტომრიდან და მიხვდნენ, რომ ის სექს-თოჯინა იყო. პოლიციელებმა მას მანდი დაარქვეს.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მანდის პოვნის ადგილას პატარა სამახსოვრო ქანდაკება აღმართეს. მასთან მიაქვთ სათამაშოები, ყვავილები, სანთლები და საჰაერო ბუშტები. ის ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად იქცა.

პოლიციის მონაცემებით, მანდი სექს-თოჯინის ერთ-ერთი უკანასკნელი მოდელი იყო და ათასი დოლარი ღირდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ და რატომ აღმოჩნდა ის ტყეში.



### კალეიდოსკოპი



## ღარიბმა ახალგაზრდამ საკუთარი სიჯიუტის წყალობით წარმატებას მიაღწია

ბრიტანელმა მოზარდმა რეგი ნელსონმა, ღარიბი ოჯახიდან, უნივერსიტეტში ჩააბარა და საოცნებო სამსახურიც იშოვა მდიდრების კარზე კაკუნით.

შავკანიანი ყმაწვილი 18 წლის ასაკამდე დედასთან ერთად სოციალურად დაუცველებისთვის განკუთვნილ მუნიციპალურ საცხოვრებელში ცხოვრობდა. 14 წლის სკოლიდან გარიცხეს, პრობლემები ჰქონდა პოლიციასთან, მაგრამ მას ცხოვრების შეცვლა სურდა. ერთხელ ნელსონმა უყურა გადაცემას, რომელშიც ინტერვიუს ართმევდნენ მდიდარ ადამიანებს, თუ როგორ გახდნენ მდიდრები. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა მდიდარ თანამემამულეებს დაკავშირებოდა. მან გუგლში იპოვა ქუჩა, სადაც ლონდონის ყველაზე მდიდარი ადამიანები ცხოვრობდნენ. ყმაწვილი იმ ქუჩაზე მივიდა და რიგრიგობით აკაკუნებდა სახლების კარზე.

– მე უბრალოდ მსურდა მცოდნოდა, თუ რისი ცოდნა და ჩვევები დაეხმარა მათ ასეთ მდიდრულ ადგილას დაედოთ ბინა და რომ ეს ყოველივე მეც გამომეცადა, – ეუბნებოდა ის მდიდრებს, რომლებიც კარს აღებდნენ. როგორც წესი, მას ურჩევდნენ, კარგად ესწავლა და მუშაობის გამოცდილება დაეგროვებინა. თუმცა ლონდონის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, ინვესტიციების მართვის კომპანიის ტოპ-მენეჯერმა ელისაბედ პრაისმა ის ფინჯან ჩაიზე მიიწვია.

ახალგაზრდის სიჯიუტით მოხიბლულმა პრაისმა ის კომპანიაში ერთდღიან სტაჟირებაზე მიიწვია, ხოლო შემდეგ ვადა ერთი კვირით გაუგრძელა. ტოპ-მენეჯერმა მოზარდს რეპეტიტორი შეურჩია და დაარწმუნა, რომ კოლეჯის შემდეგ სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა.

ამჟამად ნელსონი 22 წლისაა, მან მიიღო ბაკალავრის ხარისხი, ოთხჯერ იმყოფებოდა სტაჟირებაზე ლონდონის წამყვან საინვესტიციო კომპანიებში და ახლა უკვე ანალიტიკოსის მუდმივი სამუშაო ადგილი მიიღო ერთ-ერთ წამყვან საინვესტიციო კომპანიაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ლევან შენგელია: „მჯერა, ჩემი დროც მოვა“



თბილისის დინამოს ლევან შენგელია ეროვნული ლიგის მესამე წრიდან შეუერთდა და მალევე დედაქალაქელთათვის მნიშვნელოვან ფეხბურთელად იქცა. 22 წლის შემტევმა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდში ამ დროისთვის 7 მატჩი ჩაატარა და 3 გოლის გატანა შეძლო.

რამ გადააწყვეტინა ბელგიიდან სამშობლოში დაბრუნება, როგორია მისი მიზნები დინამოში და უფრო შორეულ მომავალში – ამ და სხვა საინტერესო თემებზე შენგელია საუბრობს.

***– როგორ დაბრუნდი საქართველოში?***

– ტრავმას ოპერაცია მოჰყვა, რამაც დაახლოებით 7-8 თვე დამაკარგვინა. როცა გამოვჯანმრთელდი, ბელგიურ ტუბიცესთან კონტრაქტი მეწურებოდა, რა დროსაც დინამო დამიკავშირდა. ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე, რომ ამ ეტაპზე ჩემი კარიერისთვის სამშობლოში დაბრუნება მიზანშეწონილი იქნებოდა. მჭირდება მუდმივი სათამაშო პრაქტიკა და მოხარული ვარ, რომ დინამოში მენდობიან. კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე.

***– პირველი შთაბეჭდილებები როგორია?***

– დინამოს ქართული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია და დღესაც მოწინავეა ჩვენს ქვეყანაში. კარგია ის პირობებიც, რაშიც ფეხბურთელებს გვიწევს მომზადება. ამ კუთხით, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დინამოში ნამდვილი ევროპული დონეა. 4 წელია, საქართველოს ჩემპიონატში არ მქონდა ნათამაშები და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი – ეროვნული ლიგის საორგანიზაციო დონე საგრძნობლად არის ამაღლებული. პირდაპირი ტრანსლაცია, განათებაზე და მაღალი ხარისხის მოედანზე თამაში ფეხბურთელისთვის დიდი მოტივაციაა და საქმისადმი ასეთი მიდგომა აუცილებლად მიგვიყვანს ეროვნული ჩემპიონატის დონის საგრძნობ ამაღლებამდე.

***– რა მიზნები აქვს დინამოს?***

– დინამო საქართველოში ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და ცხადია, გუნდის ამოცანა ახლაც ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა. მართალია, გორის დილასთან დავმარცხდით და ამით ლიდერ საბურთალოსთან მიახლოების შანსი დავკარგეთ, მაგრამ მთავარი ბრძოლები წინაა. ლიდერს მხოლოდ 5 ქულით ჩამოვრჩებით და მჯერა, რომ საჩემპიონო ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულდება. დინამოში თამაში ჩემთვის დიდი პატივია. სწორედ დინამოს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნება უკან გადადგმულ ნაბიჯად არ მიმაჩნია.

***– უკვე მოახერხეთ და ახალ გუნდში 3 გოლი გაიტანეთ.***

– მიხარია, რომ ჩემი გოლებით დინამომ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა. განსაკუთრებით სასიხარულო საბურთალოს კარში გატანილი გამარჯვების ბურთი იყო. ამ მოგებით საბურთალოს, რომელიც მანამდე ჩემპიონატს სოლიდური უპირატესობით ლიდერობდა, საგრძნობლად მივუახლოვდით. ამას მოჰყვა დუბლი და გამარჯვება ფოთის კოლხეთთან, გუნდთან, რომელშიც წარმატებული პერიოდი მაქვს გატარებული.

***– სამტრედიელი ხართ, მაგრამ საფეხბურთო კარიერა თბილისში დაიწყეთ, შემდეგ იყო რამდენიმე ქართული გუნდი, რასაც მოჰყვა ბელგია, კორეა და ახლა თბილისი.***

– კი, სამტრედიაში დავიბადე. მამაჩემი, ვასილ შენგელია, ცნობილი ფეხბურთელი იყო, წლების განმავლობაში იცავდა ქუთაისის ტორპედოს ღირსებას. ჩემი პირველი მწვრთნელი სწორედ ის იყო. 6 წლის ვიყავი, საცხოვრებლად თბილისში რომ გადმოვედით. ჩემ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა გუბაზ დოლიძემ. პროფესიულ ფეხბურთში ჩემი დებიუტი გორის დილას შემადგენლობაში შედგა, რასაც ტორპედოში გატარებული მცირე პერიოდი მოჰყვა. გულშემატკივარმა კი ფოთის კოლხეთიდან გამიცნო, სადაც მწვრთნელმა ზაზა ინიაშვილმა შანსი მომცა. კოლხეთის წყალობით მოვხვდი საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებში, მალე კი ბელგიურ ტუბიცეში აღმოვჩნდი. ტუბიცე რანგით მეორე დივიზიონში გამოდიოდა. ბელგიაში ადაპტაცია იოლი არ ყოფილა, მაგრამ ნელნელა სათამაშო პრაქტიკა მემატებოდა. შემდეგ დამიკავშირდა სამხრეთკორეელი მწვრთნელი, რომელიც ტუბიცედან ახალი დაბრუნებული იყო სამშობლოში. ეს საინტერესო გამოწვევად მივიჩნიე და ასე აღმოვჩნდი კორეულ დაეჯეონში. ფეხბურთისა და ცხოვრების დონე სამხრეთ კორეაში ძალიან მაღალია და იქ გატარებულ პერიოდს დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

***– რას ფიქრობ ევროპაში დაბრუნებაზე ან ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე?***

– ახლა მთლიანად დინამოზე ვარ კონცენტრირებული, მომავალში კი სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს ევროპაში. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და ბოლომდე დავიხარჯები იმისთვის, რომ წარმატებული ფეხბურთელი მერქვას. ჩემი უმთავრესი ოცნება კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშია. ასაკობრივი ნაკრებების ღირსება არაერთხელ დამიცავს და კარგად ვიცი, რა საოცარი გრძნობაა შენი ქვეყნის სახელით თამაში. ოცნების ასასრულებლად კიდევ ბევრია საჭირო. ჯერ 22 წლის ვარ და მჯერა, ჩემი დროც მოვა.

# ნაკრები კვლავაც ერთი თავდამსხმელით ვარჯიშობს

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის მატჩებისთვის მზადების პროცესში ისევ 24 ფეხბურთელით ვარჯიშობს. მიუხედავად იმისა, რომ ვაისის განკარგულებაში მხოლოდ ერთი თავდამსხმელია, სლოვაკ სპეციალისტს არავის დამატება არ სურს. არ არის გამორიცხული, ანდორასთან და ლატვიასთან საქართველოს ნაკრებმა ნომინალური ცენტრფორვარდის გარეშე ითამაშოს.

ჰო, ერთა ლიგის გათამაშებაზე, საქართველოს ნაკრები ანდორას 13 ოქტომბერს თბილისში უმასპინძლებს. მატჩი 20:00 საათზე დაიწყება. მეოთხე ტურის თამაშს ქართველი ფეხბურთელები 16 ოქტომბერს, ლატვიის წინააღმდეგ სტუმრად, რიგაში გამართავენ. შეხვედრა თბილისის დროით, 22:45 საათზე შედგება.



საქართველოს ნაკრები დ ლიგის პირველ ჯგუფს 6 ქულით ლიდერობს. ანდორა 2 ქულით მეორე პოზიციაზეა. ყაზახეთისა და ლატვიის ნაკრებები კი ერთი ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ.

ნაკრებში ერთი დებიუტანტია – პოლონური არკას ლეგიონერი **ლუკა ზარანდია:**

– მიხარია, რომ ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვარ. ყველა ფეხბურთელისთვის ეს დიდი მოტივაციაა. ვეცდები, რომ გუნდს სრულად დავეხმარო, თუ ამის შესაძლებლობა მექნება. საქართველოს ნაკრებისთვის ახლა მნიშვნელოვანი ეტაპია, 2 გამარჯვების შემდეგ კარგი სატურნირო მდგომარეობა გვაქვს და დარწმუნებული ვარ, ასე გავაგრძელებთ.

**გიორგი აბურჯანია:**

– ერთა ლიგა 2 გამარჯვებით დავიწყეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მთავარ კონკურენტ ყაზახეთთან 5-ქულიანი უპირატესობა გვაქვს. რაც შეეხება ანდორას, მეტოქე ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობს და მათი ბარიერების გადალახვა იოლი არ იქნება. თუმცა ამ ერთკვირიან შეკრებას სწორედ იმისთვის გამოვიყენებთ, რომ მეტოქის წინააღმდეგ სწორი ტაქტიკა შევარჩიოთ და დადებითი შედეგი ვაჩვენოთ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საქართველოს ნაკრების 24-კაციანი შემადგენლობას:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (უგუნდო), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები:** ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბელარუსი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი) გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ჯაბა ჯიღაური (გრენობლი, საფრანგეთი), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ტრნავა, სლოვაკეთი);

**თავდამსხმელი:** ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი).

ცნობილია კიდევ 4 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებსაც მთავარი მწვრთნელი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

ლევან გეგეჭკორი (ტორპედო), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ბუდუ ზივზივაძე (დინამო, თბ), ბაჩანა არაბული (პუშკაშ-აკადემია, უნგრეთი).

# სამი მედალი ოლიმპიადიდან

ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მესამე საშეჯიბრო დღეს ქართველმა სპორტსმენებმა 3 მედალი მოიპოვეს – 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

მედლების ანგარიში გახსნა ქუთაისელმა ტყვიის მსროლელმა ნინო ხუციბერიძემ. მან 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში მესამე შედეგი აჩვენა და ბრინჯაოს ჯილდო მიიღო.

პარალელურად, ძიუდოისტთა ტურნირზე მედლები გაითამაშეს 100 კგ წონის სპორტსმენებმა. აქ საქართველოს ღირსებას იცავდა ილია სულამანიძე, რომელმაც ბუენოს აირესის ტატამზე 4 ბრძოლა გამართა. სულამანიძემ ფინალამდე სლოვენიელი, არგენტინელი და თურქი მეტოქეები დაჯაბნა, საჩემპიონო შეხვედრა კი დამატებით დროში დათმო ყაზახ ბეკარის სადუაკასთან. 17 წლის ტყიბულელ ძიუდოისტს ოლიმპიადის ვერცხლის ჯილდო გადაეცა, რაც მის სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდი წარმატებაა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას მესამე მედალი მოუტანა ძალოსანმა არჩილ მალაყმაძემ (69 კგ). მან 134 კგ იტაცა, 154 აკრა ორჭიდში კი 288 კგ დაუგროვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად.

ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა დაასრულა ჩოგბურთელმა ანა მაქაცარიამ, რომელმაც შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში არუბელ პატრიკ სიდოუთან ერთად ითამაშა იაპონელთა წინააღმდეგ. მაქაცარია-სიდოუს წყვილი 0:6, 1:6 დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა.

მხატვრულმა ტანმოვარჯიშეებმა ძალები 2 დისციპლინაში მოსინჯეს – რგოლითა და ბურთით ვარჯიშის შემდეგ მე-8 შედეგი აქვს ქეთევან არბოლიშვილს.

მესამე დღე საქართველოს სპორტული დელეგაციისთვის სამწუხარო ინციდენტით დაიწყო. დილის 9 საათისთვის დანიშნულ სლოვენიასთან სასტარტო მატჩზე დროულად ვერ გამოცხადდა სამკაცა კალათბურთელთა ნაკრები. რამდენიმეწუთიან დაგვიანებას ჩვენი გუნდის დისკვალიფიკაცია მოჰყვა. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ცნობით, სატრანსპორტო საცობი პასუხისმგებლობისგან ვერ გაათავისუფლებს გუნდის მწვრთნელს, ოლიმპიური მისიის და კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, რომელთა უყურადღებობამ ასეთი სავალალო შედეგი მოიტანა.

მიუხედავად საგანგებო ვითარებისა, საქართველოს ნაკრებმა 3 საათის შემდეგ დანიშნული მეორე მატჩისთვის ძალების მოკრება შეძლო და დიდი უპირატესობით აჯობა იორდანიის გუნდს – 21:4.

ქართველები ბოლო 2 ჯგუფურ შეხვედრას თურქმენი და ჩინელი კალათბურთელების წინააღმდეგ გამართავენ და ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში, მერვედფინალში გასვლის შანსი აქვთ.



# ბასილაშვილმა ზვერევთან წააგო

ქართველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა შანხაის ტურნირზე მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა დათმო. ბასილაშვილი ატპ-ს რეიტინგის მე-5 ჩოგანს, გერმანელ




ალექსანდერ ზვერევს გაეჯიბრა. დაპირისპირება საათსა და 33 წუთი გაგრძელდა. ბასილაშვილი 2 სეტში დამარცხდა – 5:7, 4:6.

პირველ სეტში ბასილაშვილს რამდენჯერმე ჰქონდა ბრეიქის შესრულების შანსი და ზვერევიც საკმაოზე მეტად ანერვიულა, თუმცა გერმანელი ჩოგბურთელი ნიკას დარტყმებს გამოუძვრა. 5:5-ზე კი, ზვერევმა ჩვენებურს მოწოდება აართვა და საბოლოოდ სეტიც 7:5 მოიგო.

მეორე სეტში კი, ბასილაშვილს დაღლა დაეტყო და ზვერევს ბრეიქის გაკეთების შანსი სეტის სტარტზევე მისცა. რეიტინგის მეხუთე ჩოგანმაც ეს შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, საკუთარ მოწოდებებზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა, სეტიც 6:4 და შესაბამისად მატჩიც მოიგო.

ნიკოლოზი ტურნირს გამოეთიშა, სადაც 45 სარეიტინგო ქულა და 46.745 დოლარი გამოიმუშავა.

ნიკოლოზ ბასილაშვილი სეზონის ბოლომდე კიდევ 2 ტურნირს ითამაშებს, რომელთაგან ერთი პარიზის მასტერსი იქნება.

# საფეხბურთო სკანდალში ქართველების კლუბიც გაეხვა

ბელგიურ ფეხბურთში დიდი სკანდალია ატეხილი. იქაურმა სამართალდამცავმა ორგანოებმა ფინანსურ მაქინაციებში ეჭვმიტანილნი საფეხბურთო სფეროს წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყეს.

პოლიციამ მასშტაბური ოპერაცია კორუფციის, ფულის გათეთრებისა და გარიგებული მატჩების ორგანიზების საქმეზე დაიწყო.

სამართალდამცველებმა ეჭვი ბელგიის პირველი და მეორე ლიგის 10 კლუბზე, მათ შორის ამ ქვეყანაში მოთამაშე ქართველი ლეგიონერების – გიორგი ჩაკვეტაძისა და გიორგი ქვილითაიას გენტზეც მიიტანეს. გენტის გარდა, პოლიციამ ჩხრეკა ბრიუგეში, ანდერლეხტში, სტანდარდში, გენკში, ლოკერენში, მეხელენში, ოსტენდეში, შარლერუასა და კორტრაიკში ჩაატარა.

ოპერაციის ფარგლებში უკვე დაკავებულია რამდენიმე გავლენიანი აგენტი, კლუბის წარმომადგენელი და არბიტრი. დაკავებულები არიან აგენტები: მოგი ბაიატი და დეან ველკოვიჩი, ასევე მსაჯები: ბარტ ვერტენტენი და სებასტიან დელფერიერი.

სამართალდამცველებმა დაკითხეს ბრიუგეს მთავარი მწვრთნელი ივან ლეკო და ანდერლეხტის ყოფილი თავკაცი ჰერმან ვან ჰოლსბეკი. ბელგიის ფედერალურმა პროკურატურამ გამოაცხადა, რომ საგამოძიებო მოქმედებები კიდევ 6 ევროპულ ქვეყანაში ჩატარდა – საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ჩერნოგორიაში, სერბეთში, მაკედონიასა და კვიპროსში, სადაც 220 პოლიციელი იყო მობილიზებული. შედეგად, დაკავებულია რამდენიმე საფეხბურთო ფუნქციონერი.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის გიორგი ჩაკვეტაძე გენტში შარშან ზაფხულში, თბილისის დინამოდან გადავიდა. მიმდინარე ჩემპიონატში ჩაკვეტაძემ ათივე მატჩში ითამაშა, ხოლო 25 წლის გიორგი ქვილითაია გენტის ღირსებას ამ ზაფხულიდან იცავს. ის გენტში ვენის რაპიდიდან გადავიდა.

# ულტიმატუმების სერია მანჩესტერში

გავლენიანი ბრიტანული გამოცემა დეილი მეილი ავრცელებს საინტერესო ინფორმაციას, რომელიც მანჩესტერ იუნაიტედის შემდგომ სატრანსფერო ფანჯარას შეეხება.

როგორც ირკვევა, მანჩესტერელთა თავკაც ჟოზე მოურინიოს საკმაოდ საინტერესო პირობაც წაუყენებია – თუ მის მიერ დასახელებული მცველებიდან ერთ-ერთს არ შეიძენს გუნდი, ის დატოვებს დაკავებულ პოსტს. ნახსენები 2 მცველი კი რომანიოლი და სკინიარი არიან, რომელთაც გასულ ზაფხულს აქტიურად უკავშირებდნენ „ეშმაკებს“.

დეილი მეილის ცნობით, ეს არ არის ერთადერთი ულტიმატუმი მანჩესტერში. სწორედ მოურინიოს გამო იუნაიტედის რამდენიმე ფეხბურთელი გუნდის დატოვებას გეგმავს, თუ პორტუგალიელი მენეჯერის პოსტს შეინარჩუნებს.

ესენი არიან: მეკარე დავიდ დე ხეა, მცველები ლიუკ შოუ და ერიკ ბაიი, ნახევარმცველი პოლ პოგბა და თავდამსხმელი ანტონი მარსიალი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ახალგაზრდულ ნაკრებს ხარაიშვილი და ქოჩორაშვილი გამოაკლდნენ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ფინეთში ჩავიდა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მზადებას შეუდგა. გუნდი ქალაქ სეინეიოკში დაბინავდა, აქვე გაიმართება ფინეთთან შეხვედრაც – 12 ოქტომბერს.

გია ცეცაძის გუნდი ფინეთში დანაკლისით ჩავიდა. გუნდს ტრავმების გამო შვედური გიოტებორგის წევრი გიორგი ხარაიშვილი და ესპანური ხირონას ნახევარმცველი გიორგი ქოჩორაშვილი დააკლდებიან. მათ ნაცვლად მწვრთნელმა დავით სამურკასოვი და ვლადიმერ მამუჩაშვილი იახლა.



სადღეისოდ ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** ლუკა გუგეშაშვილი (დილა), ოთო გოშაძე (დინამო ბთ), ლუკა სანიკიძე (თელავი)

**მცველები:** გიორგი ქანთარია (ნემანი, ბელარუსი), ლუკა გადრანი (რუსთავი), გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), ანდრო გიორგაძე (ვორსკლა, უკრაინა), ლუკა ლოჩოშვილი, დავით კობოური (ორივე დინამო თბ), რომან ჩაჩუა (სამტრედია), გურამ გიორბელიძე (სიონი);

**ნახევარმცველები:** აკაკი შულაია, ნიკა ნინუა, გიორგი კუცია (ყველა დინამო თბ), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), ლევან მაჭარაშვილი (სტუმბრასი, ლიტვა), დავით სამურკასოვი (ლოკომოტივი), ლევან ელოშვილი (კაპფენბერგი, ავსტრია);

**თავდამსხმელები:** ბექა მიქელთაძე (ანორთოსისი, კვიპროსი), ირაკლი ბუღრიძე (ჩიხურა), ბექა ქავთარაძე (რუსთავი), გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## ხველებით შეწუხებულ მამაკაცს ტუჩები გაუშავდა



მამაკაცმა საავადმყოფოს ხველების, მაღალი ტემპერატურისა და სხეულზე გამონაყარის ჩივილით მიმართა, სამ დღეში კი მას ტუჩები გაუშავდა. აღნიშნული შემთხვევა ერთ-ერთ სამედიცინო გამოცემაშია აღწერილი.

პაციენტს, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გამოკვლევა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში ჩაუტარდა და მარჯვენა ფილტვში შიშინი გამოვლინდა. გაშუქებამ ინფიცირება აჩვენა, ასევე მას გამონაყარი აქვს ხელებსა და ფეხებზე, თუმცა მას ქავილი არ აწუხებს.

სამი დღის შემდეგ მას პირსა და ტუჩებზე უცნაური ბუშტუკები გაუჩნდა, რომლებიც მოგვიანებით გაუშავდა. დაზიანებების კვალი მას თვალებსა და სასქესო ორგანოზეც გამოუვლინდა. მოგვიანებით ექიმებმა გაარკვიეს, რომ ამ ყოველივეს მიზეზი გახდა ბაქტერია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კრუნჩხვები გულ-მკერდის მიდამოში, ტკივილი ყელის არეში, ყურის ინფექცია და ფილტვების ანთება.

მამაკაცს ორი კვირის მანძილზე საკვებს მილის დახმარებით აწვდიდნენ. მან ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსი გაიარა, რის შედეგადაც ინფექციისგან განიკურნა.

## მიწისძვრამ იაპონელი ღალატში ამხილა

იაპონიაში მამაკაცის მიერ ღალატი მიწისძვრაზე შეტყობინების წყალობით გამოვლინდა.



ინციდენტი საიტამას პრეფექტურაში ოქტომბრის დასაწყისში მოხდა. სოციალური ქსელის ტვიტერის მომხმარებელმა განაცხადა, რომ ქალაქგარეთ მატარებლის ყველა მგზავრს მიუვიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ შორიახლოს მიწისძვრა დაიწყო. მისი ეპიცენტრი მატარებლიდან შორს მდებარეობდა, ამიტომ ის მგზავრებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა.

– თუმცა, როდესაც ყველამ შვებით ამოისუნთქა, ერთ-ერთი მამაკაცი, რომელიც თავის მეგობარ გოგონასთან ერთად მგზავრობდა, პანიკამ მოიცვა. როდესაც შეტყობინება მიუვიდა, აღმოჩნდა, რომ მას ორი სმარტფონი ჰქონდა, – დაწერა ტვიტერში თვითმხილველმა. მისი თქმით, გოგონამ არ იცოდა მეორე მობილურის არსებობის შესახებ. მან თავის შეყვარებულს კითხვების დასმა დაუწყო და საყვედურებით აავსო ღალატის გამო. ამ ყოველივეს მამაკაცი მხოლოდ დუმილით პასუხობდა.

საბოლოოდ, მატარებლის გაჩერების შემდეგ, წყვილმა შემადგენლობა დატოვა და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

## ჰოლანდიელი გოგონა საჭმელს აღარ ჭამს

ნიდერლანდების მკვიდრმა კელი ბეკრესმა განაცხადა, რომ უიშვიათესი დაავადება აქვს და ამის გამო მას უკვე ოთხ წელიწადნახევარია ერთხელაც კი არ მიუღია საკვები.



ბეკერს ნაწლავების უიშვიათესი დაავადება აქვს. იმის გამო, რომელიც მას დაბადების დროს წარმოქმნილი გართულებების შედეგად განუვითარდა, მას მთლიანად მოეშალა საჭმლის მომნელებელი სისტემა. 21 წლის ჰოლანდიელი იძულებულია მხოლოდ ვენისშიდა გადასხმებით იკვებოს, თან ატაროს კალომიმღები და ნაღვლის გამწმენდი მილით იაროს, რომელიც ცხვირიდან აქვს გამოჩრილი.

გოგონამ აღიარა, რომ რამდენჯერმე კინაღამ დაიღუპა კათეტერების დაინფიცირების გამო წარმოშობილი გართულებებისგან.

– გასული წლის ნოემბერში სიკვდილის პირას ვიყავი. ჩემ კათეტერში, რომელიც გულიდან სულ სამ სანტიმეტრში მდებარეობს, ინფექცია მოხვდა. მაშინ მშობლები დამემშვიდობნენ კიდეც, – განაცხადა გოგონამ.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ბეკერსი ცდილობს, რომ რაც შეიძლება სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვროს. ის ამტკიცებს, რომ საკვები არ ენატრება, თუმცა მეგობრებთან და ოჯახთან ერთად სადილობა ძალიან აკლია. გოგონას მუშაობა არ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ დადის სკოლაში, სადაც ლექციები ტარდება მის დაავადებაზე.

ახლახან მან თერაპიული ძაღლი სახელად ლიფკე აიყვანა და ახლა მშობლებისგან განცალკევებით ცხოვრობს. ძაღლმა განგაში უნდა ატეხოს, თუ გოგონა ცუდად გახდება, ასევე ის მას საყოფაცხოვრებო საქმიანობაში ეხმარება.

## დამლაგებელმა კიბოთი დაავადებულ გოგონას წყალში ფული მოსთხოვა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ბეტ კინგმა დაიჩივლა „მაკდონალდსის“ თანამშრომლის გამო, რომელმაც მის კიბოთი დაავადებულ გოგონას ბოთლით წყალი მისცა, შემდეგ კი მასში ფული მოითხოვა.

ქალი მერსისაიდის საგრაფოს ქალაქ უოლესის სწრაფი კვების რესტორანში ქალიშვილებთან შვიდი წლის ლოლასთან და ხუთი წლის სტალასთან ერთად წავიდა. კინგის უფროს გოგონას მწვავე ლეიკოზი აქვს და იმ დილით ქიმიოთერაპიის მორიგი კურსი გაიარა. ამის გამო მას გულისრევა დაემართა. თუმცა მას ძალიან მოუნდა „მაკდონალდსში“ წასვლა და დედამ გადაწყვიტა ბავშვი იქ წაეყვანა.

– ბავშვი იქ მისი მდგომარეობის გამო მივიყვანე. მას აღარც ენერგია აქვს და აღარც მადა, ამიტომ თუ მას უცბად რაიმე მოუნდება, ყოველთვის ვუსრულებ, – განმარტა კინგმა.

სადილობის დროს, ლოლას, რომელსაც მანამდე რამდენიმე დღის განმავლობაში არაფერი ჰქონდა ნაჭამი, გული აერია.

– მან თავი უხერხულად იგრძნო, ჩვენთან დამლაგებელი მოვიდა და მას ბოთლით წყალი მისცა, ვინაიდან ლოლას მისი მდგომარეობიდან გამომდინარე ონკანიდან წყლის დალევა არ შეეძლო, – განაცხადა ბავშვის დედამ. რამდენიმე წუთის შემდეგ დამლაგებელი მათთან ისევ მივიდა და დაწესებულების მენეჯერის სახელით წყლის ბოთლისთვის 1,29 ფუნტი სტერლინგი მოითხოვა. ამან კინგი უკიდურესად გააბრაზა, მან ხუთჯერ მოითხოვა მენეჯერის მისვლა, მაგრამ 40 წუთის განმავლობაში მასთან არავინ მისულა.

მაშინ ქალი თავად მივიდა დახლთან და მენეჯერი იხმო. მან თავის მხრივ განუცხადა, რომ მომხდარის შესახებ მისთვის არაფერი იყო ცნობილი. რიგში მდგომები კინგს ფულის გადახდას სთავაზობდნენ, მაგრამ მან მათ ამის გაკეთება აუკრძალა.

მეორე დღეს გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს და სისხლის გადასხმა გაუკეთეს.

„მაკდონალდსის“ წარმომადგენელმა კინგს და მის შვილებს მოუბოდიშა და განაცხადა, რომ მზად არის მათ შეხვდეს და ინციდენტის გარემოებებში გაერკვეს.

## მგლოვიარე პატარძალი ქორწილის დღეს საქმროს საფლავზე მივიდა



აშშ-ში მგლოვიარე პატარძალი საქორწინო კაბაში გამოწყობილი თავისი საქმროს საფლავზე იმ დღეს მივიდა, როდესაც მათი ქორწილი უნდა შემდგარიყო.

ჯესილა პეჯეტმა მონაწილეობა მიიღო ფოტოსესიაში, რომელიც მისი რჩეულის კენდალ ჯეიმს მერფის საფლავთან გაიმართა. მის სამახსოვროდ გოგონამ საფლავის ქვასთან ფოტოსურათები საქორწინო კაბაში გამოწყობილმა გადაიღო. მას ამ დროს მხარში ამოუდგნენ ნათესავები და მეგობრები. ამგვარი ფოტოსესიის გამართვის იდეა დაღუპული საქმროს დედას ეკუთვნოდა.

ფოტოგრაფმა სურათები ფეისბუქში გამოაქვეყნა, სადაც ის 21 ათასზე მეტმა ინტერნეტ-მომხმარებელმა გააზიარა.

მერფი, რომელიც მოხალისე მეხანძრეთა გუნდის წევრი იყო, 2017 წლის ნოემბერში დაიღუპა. ის ავარიაზე გამოძახებაზე გავიდა, მანქანაში გაჭედილი მამაკაცის გამოსაყვანად. როდესაც მოხალისე მანქანიდან გამოძვრა, მას სხვა მოხალისე მეხანძრეთა მანქანა დაეჯახა, რომლის საჭესთან კოლბი ბლეიკი იჯდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მძღოლის სისხლში ალკოჰოლის დონე დასაშვებ ნორმას ორჯერ აღემატებოდა. ბლეიკი დღემდე არ წარმდგარა სასამართლოს წინაშე.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 11 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მძარცველის, ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. გადასახადების ამკრეფი დაწესებულება ძველად; 3. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 4. პეკინის მეორე სახელწოდება; 5. უღელტეხილი კავკასიონზე; 7. სწორი ხაზის მონაკვეთი, რომელსაც მიმართულება აქვს; 11. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 12. დროის მონაკვეთი კრივში; 13. ძვირფასი მოსაპირკეთებელი მინერალი; 14. ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომის გიგანტური ქანდაკება; 15. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 19. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 5. ბაზრის ძველი სახელწოდება; 6. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 8. კამეჩის ნაშიერი; 9. კურორტი ხონის რაიონში; 10. ძვლების ანთება; 11. ძველებური რბილი, დაბალყელიანი ტყავის ფეხსაცმელი საქართველოში; 13. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 16. საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულება; 18. აეროპორტი სინგაპურში; 20. მოხარშული და გადაზელილი ყველი; 21. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაუსტი; 2. გულანი; 3. ტუმბო; 5. ზული; 6. მწნილი; 8. ტუნისი; 11. ვილსდორფი; 13. ამარეტო; 14. მადრიდი; 15. საიგაკი; 19. რალი.

**თარაზულად:** 1. ფარენგეიტი; 4. ბალზამი; 7. ურთხელი; 9. ბაბუინი; 10. სვანი; 12. ღლიღვები; 16. გიორგობა; 17. ტანდემი; 18. კრაისლერი; 20. ფაზენდა; 21. ჯორი; 22. რექვიემი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დურუჯი; 2. ოკრიბა; 3. სორბონა; 4. სანტოსი; 5. მატროსი; 7. მუხიანი; 11. კაფია; 12. ხანძთა; 13. ვაკუუმი; 14. მოურავი; 15. ხოხობი; 17. სუძუკი; 19. კომო.

**თარაზულად:** 5. მოლუსკი; 6. პაროდია; 8. ბახი; 9. გონიო; 10. ორბიტა; 11. კალა; 13. ვიქტორია; 14. მაფია; 16. ესაძე; 18. ოფურო; 20. ვერმუტი; 21. ბასკეთი.

# სამგლოვიარო განცხადებები



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურა, ადმინისტრაცია, სტუდენტები, მკვლევარები და რეზიდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ყიფიანი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი, ,,ავერსის კლინიკის“ სტომატოლოგიური სამსახურის უფროსი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სტომატოლოგთა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო თუ პროფესიული ფორუმის ორგანიზატორი და მონაწილე

## გიორგი (გოგი) ყიფიანი

მისი პროფესიული, აკადემიური და, შეიძლება ითქვას, პირადი ბიოგრაფია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანული ნაწილია. იგი 1961 წელს დაიბადა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პატრიარქის, მისი სინდისის და ერთ-ერთი საპატიო სახის, პროფესორ ელგუჯა ყიფიანის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – უნივერსიტეტის) დამთავრებისთანავე, 1984 წლიდან, გიორგი ყიფიანმა სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის კლინიკურ ორდინატურაში, შემდგომ – ასპირანტურაში და 1989 წელს, სრულიად ახალგაზრდამ – 28 წლის ასაკში, წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამის შემდგომ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ყიფიანის საქმიანობა და პროფესიული ზრდა განუყრელად იყო დაკავშირებული მის Alma Mater-თან. იგი ბრძანდებოდა თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი (1990-1995), ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1995-2004), ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი (2005-2008). 2003 წელს გიორგი ყიფიანი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა. 2001-2006 წ.წ. იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ბავშვთა №1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის დირექტორი იყო; 2004-2005 წ.წ. კი, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ძირეული და არცთუ უმტკივნეულო გარდაქმნების პერიოდში, ბატონი გიორგი თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პოზიციას იკავებდა. ყოველთვის და ყველგან იგი წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს სასწავლო, კვლევით, საექიმო და ადმინისტრაციულ საქმიანობას, იძლეოდა რა ადამიანური, პროფესიული თუ აკადემიური ურთიერთობის მაგალითს, როგორც ეს მისი წარმომავლობის ადამიანს ეგების.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ 1998 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, გიორგი ყიფიანს უნივერსიტეტის საუკეთესო პედაგოგის საპატიო წოდება მიენიჭა. იგი სტუდენტების და კოლეგების მიერ შეირჩა და დასახელდა, როგორც რჩეული რჩეულთა შორის. საუკეთესო პედაგოგად კურთხევა არა ფორმალური, არამედ პროფესიული და პიროვნული გამორჩეულობის გამოვლინებაა. ასეთ პატივს კი საზოგადოება დაუმსახურებლად არასდროს არავის ანიჭებს. თუმცა, ეს არ იყო გიორგი ყიფიანის პირველი აღიარება – ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1979-1984 წლებში, იგი ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის სტიპენდიატი იყო. გიორგი ყიფიანი, სტუდენტიც და ახალგაზრდა პედაგოგიც, მასწავლებლების, თანატოლების, კოლეგების თუ სტუდენტების რჩეულის სახით შევიდა მისი მშობლიური უნივერსიტეტის ოქროს ფონდში.

2008 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე გიორგი ყიფიანის პროფესიული საქმიანობა „ავერსის კლინიკის“ სტომატოლოგიურ სამსახურს დაუკავშირდა. აქ იგი არა მარტო მაღალპროფესიულ აქტივობას ეწეოდა, არამედ ორგანიზაციულად წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ამ რთული და საპასუხისმგებლო სეგმენტის მუშაობას. და იგი აქაც იყო მოწოდების სიმაღლეზე, პატივისმცემელი კოლეგების, მადლიერი პაციენტების და ახალგაზრდების გარემოცვაში, ვისაც უსიტყვოდ და გულუხვად უწილადებდა ცოდნას, გამოცდილებას და მისთვის აგრერიგად დამახასიათებელ ადამიანურ სიკეთეს. „ავერსის კლინიკაში“ უკიდურესი დაკავებულობის მიუხედავად, მას არასდროს გაუწყვეტია კავშირი სამედიცინო უნივერსიტეტთან, იყო მისი მეგობარი და გულშემატკივარი, მონაწილეობდა საკონსულტაციო და საექსპერტო აქტივობებში, ყოველთვის იყო იქ და იმ დროს, როდესაც ეს მის დარგს, პროფესიას, მასწავლებლებს, კოლეგებს და სტუდენტებს სჭირდებოდა.

ძალიან სამწუხარო და უსამართლოა, რომ ბატონი გიორგი ყიფიანი ასე ადრე წავიდა ჩვენგან – ის 60 წლისაც არ იყო... გიორგი ყიფიანი წავიდა პროფესიული აკმეს ხანაში და შეძრწუნებული დატოვა ოჯახი, მეგობრები, კოლეგები.

პროფესორ გიორგი ყიფიანის კეთილშობილება, სიდინჯე, კოლეგიალობა, კეთილსინდისიერება, აკადემიზმი, მაღალი პროფესიული და ორგანიზატორული თვისებები მუდამ მისაბაძი იქნება თანატოლებისა და მომავალი თაობებისათვის. გოგი ყიფიანი სამუდამოდ დარჩა კეთილ და ნათელ მოგონებად მისი მშობლიური თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თითოეული წევრის მეხსიერებაში. მისი გარდაცვალება შეუვსებელი დანაკლისია ჩვენთვის.

უდიდესი გულისტკივილით გემშვიდობებით, ჩვენო გოგი!!!!!

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# აკა მორჩილაძე: „როგორც ყველა ლიტერატურა, ქართული ლიტერატურაც ადამიანების გარშემო ტრიალებს“

მწერალი აკა მორჩილაძე ლიტერატურული მასპინძლის სტატუსით წარდგა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე და ვრცლად ისაუბრა საქართველოზე, ქართულ ლიტერატურაზე, კულტურაზე, ქართველ მწერლებზე:




– არსებობს დავიწყებული კულტურები, ასევე კულტურები, რომლებიც მკვდარია, მაგრამ ცხოვრობენ უნივერსიტეტებში, მეცნიერების მოწადინებით. არსებობს დიადი კულტურები, რომლებიც აღარც მაგალითად სჭირდება ვინმეს, რადგან ძალიან მაღალი სტანდარტი აქვთ და მათთან მიუწვდომლობის აშკარა სურათი უხერხულობას ქმნის.

მრავალ ასეთ სიკვდილ-სიცოცხლესა და სიიოლე-სირთულეში არსებობენ ძველი, დღევანდელი სამყაროსთვის ან სრულიად უცნობი, ან ერთეულ მოყვარეთათვის ნაცნობი კულტურები, რომლებიც არ მომკვდარან და რაღაც მაღალი საოცრებების წყალობით მოვიდნენ 21-ე საუკუნემდე. ბედნიერებაა, რომ სწორედ ასეთ კულტურას წარმოადგენ და ამაზე ორი სიტყვის თქმა შეგიძლია. განსხვავებული არაფერი, მაგრამ უბრალოდ, ორი სიტყვა:

ეგებ რაღაც შორეული უცნობი კულტურა ვინმესთვის არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ქართველებს ასეთი სიტყვა გვაქვს „რაღაცას“ ვეძახით ბევრ რამეს და ეს მარტო „რაღაც“ არ არის ჩვენთვის, არამედ სიცოცხლესაც ნიშნავს.

აი, ასეთ სრულიად უცნობ, უმეტესად პოლიტიკურად გაგებულ საქართველოს ისტორიაში ყოფილა უგრძესი პერიოდები, საუკუნოვანი დროები, როცა, ამ ქვეყნის არსებობა-არარსებობას სწორედ მისი კულტურა განსაზღვრავდა.

ჩემი, როგორც ქართველის ჭკუით, ძალიან ჯიუტი, უცნაური, ჰუმანისტური, მრავალგზის დამახინჯებული, მაგრამ კულტურა გვაქვს, ამას ვეძახით ჩვენ ქართულ კულტურას.

ასეთი ისტორიაა საერთოდ. ძველი, სისხლით და სიმძიმით სავსე. თავის შენახვის და გადარჩენის ამბავია ჩვენი ამბავი საერთოდ. ამ ამბის სიკეთე სხვა არამატერიალურ რაღაცებთან ერთად იყო სწორედ ჩვენი კულტურა.

მოკლედ რომ ვთქვა, დრამით რომ არ დაგღალოთ, არ არის აქ ამის ადგილი, დღეს აქ არის ქართული ლიტერატურა, რომელიც, როგორც იცით, ძალიან ძველია, მრავალი საუკუნის. ჩვენ ვამბობთ – 1500 წლის, ვილაც მეცნიერები ამბობენ, 2000-ის, 2500-ის... ჩვენ ამ საუკუნეებში ასე ვოპერირებთ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ეს საუკუნეები არ არის პატარა დრო იმისთვის, რომ იმსჯელო რა არის ღირებული და რა – არა.

როგორც ყველა ლიტერატურა, ქართული ლიტერატურაც ადამიანების გარშემო ტრიალებს.

აი, ის ჩვენი პირველი მოთხრობა, რომელშიც მეხუთე საუკუნის ამბავია აღწერილი, ჩვენ უფრო გვიანდელი ხელნაწერიც გვაქვს, ძალიან გასაგები და სამსჯელო იქნებოდა სამყაროში მაშინაც და ახლაც, სკოლაში ისწავლება ჩვენთან, იმ ენით, რომლითაც დაწერილია მეხუთე საუკუნეში.

ეს არის მოთხრობა ქალზე და კაცზე, ოჯახზე, ერთგულებაზე, პოლიტიკაზე, ღმერთზე, რწმენაზე, პატიოსნებაზე, ათას რამეზე. ეს ყველაფერი ისეა აღწერილი, რომ იოლად მიხვდები, ადამიანის გულში და სულში ეს თხუთმეტი საუკუნეა არაფერი დიდად არ შეცვლილა.

თქვენ იცით, რომ ჩვენი კულტურის მეორე ნაწილი არის ანბანი, რომელზეც ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, ამით ვწერდით წიგნებს ქართველები.

ფუფუნებაა, ასეთი რაღაც რომ გაქვს ადამიანს. თქვენ უყურებთ გაოცებული და ჩვენ ვკითხულობთ. ამ დროს ჩვენ თქვენსას იოლად ვკითხულობთ, ეს უპირატესობა გვაქვს დამალული.

საუკუნეების მანძილზე ჩვენ ძალიან ბევრს ვთარგმნიდით, განსაკუთრებით აღმოსავლური ენებიდან, სანამ შეგვეძლო, სანამ მშვიდობა იყო. ჩვენ არ გვთარგმნიდა არავინ. ჩვენ ვკითხულობდით ყველაფერს და თქვენ – არაფერს ჩვენსას. წარმოიდგინეთ, ესეც რამხელა უპირატესობაა.

ჩვენ ვწერთ პროზას, ისტორიასაც ვწერთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საქართველო არის პოეზიის ქვეყანა. აქ პროზაიკოსი რომ გამომიყვანეს, ვარ უხერხულ მდგომარეობაში. მე არ ვარ პირველი კატეგორიის ადამიანი ამ ხელობაში, რასაც მწერლობა ჰქვია. ჩვენი ქვეყანა არის პოეზიის. ხუმრობაა ძველ წიგნებში დარჩენილი, რომ რომანის წერას უნდა დრო, მაგიდა, ქაღალდი... ამ დროს ომია, უბედურებაა და ლექსი იწერება მუხლზე დადებულ ქაღალდზე. უცბად. აი, ეს შეგინახეთ.

უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან ისტორიულ ქრონიკებსაც ლექსად წერდნენ. რომანებსაც წერდნენ ლექსად, სახელმწიფო ქაღალდები გვაქვს ჩვენ ლექსად დაწერილი. ხეებზე, ცხვირსახოცებზე, სასმისებზე, მერხებზე, ეს არის უცნაური ტრადიცია, რომელიც ახლა რომ გითხრათ, მეტ შრომას მოითხოვს, ვიდრე პროზის წერა, პროზა ისეთია – დაჯექი და ცოტა მოცლილი ადამიანის საქმეა.

ნუ, სტანდარტი ასეთია, პოეზია მაღალია. პოეზიით ცხოვრება ვიცით რაცაა – კიდევ უფრო მაღალია.

სულ ბოლო დრომდე პოეტი ისეთი ფიგურა იყო საქართველოში, რომელიც ადამიანს საკუთარი არსებობის სიხარულსა და განუმეორებლობაში არწმუნებდა. არწმუნებდა იმაში, რომ მისი ფიქრი მართალი, წრფელი ფიქრია და ხელოვნება დიადი რამეა. შენ იცოდი, რომ თვითონ არ შეგიძლია და არსებობს ადამიანი, რომელიც შენს ნაცვლად შენს ფიქრებს გამოხატავს. გადმოსცემს, გამოიცნობს და ამას მეტი სისრულით და ოსტატობით აკეთებს.

პოეტი ისეთი ვინმე იყო ქვეყანაში, რომ 20-საუკუნოვანი ლამის აბსოლუტური მონარქიის ტრადიცია აქვს ამ ქვეყანას და გვყავს ბევრი მეფე, რომელთა საუკეთესო მიღწევაც არის მათი პოეზია.

საქართველოს გაცნობა, რა თქმა უნდა, შეიძლება იქ მოგზაურობით, მაგრამ მაინც ჯობს ქართულმა ლიტერატურამ მოგახსენოთ თავისი ძველი და უცვლელი სათქმელი, იმის თაობაზე, რომ სიყვარული, მეგობრობა, სირთულეები, სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა, იუმორი და ტრაგედია ისევე არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი, როგორც თქვენი და ამაზე ლაპარაკი და თხრობა ისე შეგვიძლია, როგორც ბევრს არავის დედამიწის ზურგზე. ამის მრავალსაუკუნოვანი, სამყაროსთვის უცნობი ტრადიცია გვაქვს. ჩვენი ლიტერატურა ჩვენი ალსარებაცაა, ჩვენი ოცნებაცაა ა.შ.

ახლა ასე ლამაზადაც არაა ყველაფერი. რადგან აქ ვართ დღეს, უნდა გითხრათ, რომ პოეტები და მწერლები ყოველთვის უპირატესი და საყვარელი გმირები იყვნენ საქართველოში. ყოველთვის იყვნენ, როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, ცნობადი სახეები. მაგრამ ამას მათთვის არც ყოფითი ნუგეში მოუტანია და ამ ხელობას არასოდეს არ დაუცავს ძნელბედობისგან.

როგორც სამოცდაათი ან ორასი წლის წინათ, დღესაც ქართველი მწერალი შეიძლება გადაყვეს თავის ნაწერს. ან აქაც არაშემოქმედებითი გამოსავალი ეძიოს, ან უცხოეთს შეაფაროს თავი, შეიძლება მუშტიც მოხვდეს, შეიძლება ქუდიც ჩამოიფხატოს, რომ საზოგადოების გულისწყრომას მოერიდოს. აი, ამ დიდი ისტორიული, როგორ გითხრათ, დამანგრეველი თუ აღმაშენებელი ქარტეხილების მიუხედავად, მწერალი მაინც რჩება საქართველოში გამორჩეულ ფიგურად, ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ყოველთვის იქ არის, სადაც ყველა არასდროს არ არის და ამავდროულად იქ არის, სადაც ყველა ყოველთვის მოიყრის თავს. ეს არის ჩვენი, ქართველი მწერლების ამბავი.

## რობერტ სტურუა გალანძღეს



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, 80 წლის რეჟისორ რობერტ სტურუას ქვეყნის გამყიდველი კრემლის მონა უწოდეს. ამ განცხადების ავტორი ჟურნალისტი რომან ქევხიშვილია:

– რობიკო სტურუა, პოლიტიკურად რუსეთუმე მძორი ხარ... ქვეყნის გამყიდველი კრემლის მონა.

კი, პირადი „გრიზნიაც“ მაქვს ამ არაკაცთან! ოდესმე სადმე შემხვდება და პირადად ვეტყვი სათქმელს ამ საბჭოთა მუმიას!

## ნოდარ მგალობლიშვილი ღირსებას და კაცის სახელს არ ყიდის



87 წლის მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი არ ერევა პოლიტიკურ ბატალიებში და არასდროს აკეთებს განცხადებებს ამა თუ იმ პარტიასა და პოლიტიკოსთან დაკავშირებით.

– ახსოვს ვინმეს ნოდარ მგალობლიშვილი?!

არა!

რატომ?!

ვინმეზე ნაკლები მსახიობია, თბილისელია, მოქალაქეა თუ ქართველი პატრიოტი...

უბრალოდ, ღირსებას და კაცის სახელს არ ყიდის!

ეს ის ნოდარ მგალობლიშვილია, ვინც შევარდნაძეს ღირსების ორდენი მიუგდო უკან, შენგან ღირსებაწართმეულ ქვეყანაში ღირსების ორდენს ვერ ვატარებო!

„ცნობადო“'ქართველებო, ნუ დახურდავდებით პოლიტიკოსების ფეხების ლოკვამდე – ძალიან უღირსი პოზაა სალაფავისთვის წაკუზული ადამიანისთვის! – აცხადებს გიორგი გიგაური.

## რევაზ ლაღიძის ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა



თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა. კომპოზიტორისთვის ძეგლის გახსნის ინიციატივით რამდენიმე წლის წინ მხატვარი ბესიკ დულაშვილი გამოდიოდა. ამისთვის მან სპეციალური პეტიციაც შექმნა, სადაც მოქალაქეებმა ხელი მოაწერეს და დედაქალაქის ხელმძღვანელობას არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორისთვის ძეგლის დადგმა სთხოვეს. სამწუხაროდ, ძეგლის გახსნაზე ბესიკ დულაშვილი არავის მიუწვევია.

ბრინჯაოში ჩამოსხმული ბიუსტის ავტორი, მოქანდაკე თენგიზ აბრამიშვილია. მისი ჩამოსხმულია გოგი დოლიძის ბიუსტიც.

**თენგიზ აბრამიშვილი:**

– რევაზ ლაღიძის პორტრეტი ბრინჯაოშია ჩამოსხმული და მასზე განთავსებული წარწერა ნოტებზეა აგებული. თბილისში „თბილისოს“ ავტორის ძეგლი არ იდგა და ბიუსტის შექმნის იდეაც სწორედ ამიტომ დამებადა. ამაზე სამუშაოდ რამდენიმე წელი დამჭირდა. მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩემი ნამუშევარი გამოარჩიეს. ადგილთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო. საბოლოოდ კი შეირჩა ძველი თბილისის უბანი, სადაც ძველი არქიტექტურა თანამედროვეობასთან არის შერწყმული.

კომპოზიტორის ბიუსტის გახსნას დედაქალაქის მერიც დაესწრო:

– ჩემთვის ძალიან დიდი პატივია რევაზ ლაღიძის ბიუსტის გახსნა. მას არაერთი შესანიშნავი კომპოზიცია აქვს შექმნილი. იმისთვის, რომ მთელ ქვეყანას ელიარებინა, „თბილისოც“ საკმარისია. მან, საკმაოდ ახალგაზრდამ, 38 წლის ასაკში დაწერა ეს სიმღერა და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დედაქალაქის ჰიმნად იქცა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**11 ოქტომბრისთვის**

აშშ დოლარი — 2.6255

ევრო — 3.0057

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4265

100 რუსული რუბლი — 3.9432

**ამინდის პროგნოზი 11 ოქტომბრისთვის**




## კოკორინი და მამაევი შესაძლოა ფეხბურთიდან მოკვეთონ



რუსეთში გრძელდება ალექსანდრ კოკორინის და პაველ მამაევის სკანდალი, რომლებმაც ერთ-ერთ კაფეში რუსი ჩინოვნიკი სცემეს და ამჟამად ისინი დაკავებულები არიან.

ამ ფაქტთან დაკავშირებით უამრავმა ადამიანმა გააკეთა კომენტარი, მათ შორის ცნობილმა კომენტატორმა დიმიტრი გუბერნიევმა, რომელმაც თქვა, რომ ამ ფეხბურთელებს სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მისცენ.

ამ აზრზე საკმაოდ ბევრია რუსეთში და შესაძლოა მართლაც ასე მოხდეს.

რუსული გუნდების უმრავლესობამ გამოაცხადა, რომ კოკორინს და მამაევს ისინი არასოდეს მიიღებენ თავიანთ რიგებში.

ამჟამად ამ ფეხბურთელებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და, შესაძლოა, მათ რამდენიმე წელიწადი ციხეში გაატარონ.

## ტიერი ანრი მონაკოს მწვრთნელი გახდება?



მონაკომ წლევანდელი სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და ამის გამო სავარაუდოდ, ლეონარდო ჟარდიმს მალე გაანთავისუფლებენ.

ამჟამად მონაკო გასავარდნ ზონაში იმყოფება, რაც ამ გუნდისთვის სამარცხვინოა.

მონაკო ახალი მწვრთნელის პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს და მათ შორის არის ტიერი ანრიც, რომელიც ამჟამად ბელგიის ნაკრებში მუშაობს.

ანრის უკვე შესთავაზეს ბორდოს მწვრთნელობა, მაგრამ მაშინ ტიერიმ უარი თქვა. ანრი რომელიმე გუნდის მთავარი მწვრთნელი არასოდეს ყოფილა და მისთვის მონაკო პირველი იქნება.

## არტურო ვიდალი ბარსელონაში უკმაყოფილოა

ბარსელონას ჩილელი ფეხბურთელი არტურო ვიდალი ბარსელონაში თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, რადგან ხშირად უწევს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა.



ამის შესახებ ვიდალმა განცხადებაც გააკეთა.

— მწვრთნელთან პრეტენზია არ მაქვს და რომ მქონდეს, ხმამაღლა ვიტყოდი, მაგრამ მინდა, რომ მოედანზე მეტი დრო გავატარო. ბარსელონაში სათადარიგო სკამიდან თამაშის საცქერად არ გადმოვსულვარ, — განაცხადა არტურო ვიდალმა.

ვიდალი ზაფხულში ბარსელონამ მიუნხენის ბაიერნისგან 19 მილიონ ევროდ იყიდა.

## პოლ პოგბა: „კაპიტნობა არ მჭირდება“



მანჩესტერის იუნაიტედის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ განაცხადა, რომ მას არ სჭირდება კაპიტნობა იმისთვის, რომ მანჩესტერის ლიდერი გახდეს.

პოგბას აზრით, მოედანზე ყველა თანაბარია და კაპიტანი პრივილეგიებით არ სარგებლობს:

— ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვიქნები თუ არა კაპიტანი, რადგან ეს ყველაფერი ჩემს თამაშზე არ მოქმედებს. მინდა, რომ მოედანზე საუკეთესო ვიყო და ჩემს გუნდს გამარჯვებები მოვუტანო. ეს გაცილებით მნიშვნელოვანია.

## ბუფონი: „50 წლამდე ვითამაშებ“



პსჟ-ს იტალიელმა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა განაცხადა რომ ის 50 წლამდე აპირებს თამაშს და ჯერ კარიერის დასრულებაზე არც ფიქრობს.

ბუფონის თქმით, ის მზად არის ახალი გამოწვევებისთვის და მისი მიზანი პსჟსთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

— თავს კარგად ვგრძნობ და ვიცი, რომ თამაში შემიძლია. ვაპირებ, რომ 50 წლამდე ვითამაშო და კიდევ არაერთი ტიტული მოვიგო, — განაცხადა ბუფონმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

რესტორანში მამაკაცი ოფიციანტს ეუბნება:

— გრაფინი არაყი და კიდევ რაიმე თქვენი გემოვნებით.

— გასაგებია, ორი გრაფინი არაყი.

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს:

— ძვირფასო, სად ხარ?

— დაგავიწყდა, სათევზაოდ ვარ.

— ჰო, გამახსენდა, და ძვირფასო, თუ ორაგული ძვირი ეღირება, მაშინ ჭანარი წამოიღე.

●●●

ზღვაზე პირველად მიმავალი შვილი მამას ეკითხება:

— მამა, გამიგია, რომ ქალაქში გოგონები სულ სხვაგვარად ჩაცმულები დადიან და შეიძლება შევხედო გოგონას, რომელსაც მოკლე კაბა აცვია და ბლუზი ღრმა დეკოლტეთი?

— შეიძლება, შვილო.

— და თუ ბიკინი აცვია, შეიძლება?

— შეიძლება.

— თუ შიშველი ირუჯება?

— შეიძლება.

— და მამა, არსებობს ისეთი რამე, რისი ყურებაც არ შეიძლება?

— „ელექტროსვარკის“.

●●●

ბიჭი გოგონას ეკითხება:

— გოგონა, რა მოხდება, რომ გაკოცო?

— შენ რა, ანატომია არ გისწავლია? არაფერიც არ მოხდება!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, საკმარისი იყო, საფულეში ცოლის ფოტოსურათი ჩამედო და მაშინვე მთელი ფული გაქრა.

●●●

ერთი ფოტოგრაფი მეორეს ეუბნება:

— გუშინ გოგონა გავიცანი.

— ლამაზია?

— ეგ განათებაზეა დამოკიდებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2**
**ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.**


## ნარკოტიკებით გატაცებული ბიზნესმენი გონს მოეგო



ბრიტანელმა მილიონერმა მარტინ ჯონმა, რომელმაც მთელი ქონება ნარკოტიკებს და ალკოჰოლს შეალია, საკუთარ ცხოვრებაზე ისაუბრა, როგორც დამლუპველ ჩვევამდელ, ისე მის შემდგომზე.

ღარიბი ოჯახიდან გამოსულმა ჯონმა ყველაფერი საკუთარი მამისგან ისწავლა და 1980-იანი წლების ბოლოს საკუთარი პირველი ავეჯის მაღაზია გახსნა, რომელიც შემდეგ მთელ იმპერიად იქცა. ის 33 წლის ასაკში მილიონერად იქცა და სწორედ მაშინვე დაიწყო კოკაინის მოხმარება.

იმ დროისთვის ის კვირაში დაახლოებით 30 ათას ფუნტ სტერლინგს გამოიმუშავებდა. ფულს დიზაინერულ ნივთებსა და ძვირფას ავტომობილებში ხარჯავდა.

ჯონი იხსენებს, რომ კოკაინს ძალიან სწრაფად შეეჩვია და ვერც კი შენიშნა, თუ როგორ ხარჯავდა დამლუპველ ჩვევაზე თვეში 12 ათასამდე ფუნტ სტერლინგს. ის ნანობს, რომ ნარკოტიკებმა მას ახლობლები დააკარგვინა. მან ურთიერთობა გააბა იმ მდიდარ და ცნობილ პირებთან, რომლებიც ასევე ნარკოდამოკიდებულები იყვნენ. შედეგად მან საკუთარი ავეჯის ბიზნესი და ორი მეგობარი დაკარგა. დოზის გადამეტების გამო ერთ-ერთი დაიღუპა, ხოლო მეორემ თავი მოიკლა.

წვეულებებზე ის უკონტროლოდ იღებდა არაყსა და შამპანურს. ერთ-ერთი მორიგი სამდღიანი სმის შემდეგ კი მიხვდა, რომ ბოლო 30 წელი ის საკუთარ ცხოვრებას ანადგურებდა.

— სარკეში ჩავიხედე და ავქვითინდი, თავს შერცხვენილად და დაკარგულად ვგრძნობდი. ვერ ვხვდებოდი, თუ როგორ გაიფრინა ამ 30-მა წელმა. ლოგინში ქალები მეწვნენ, სახლში დაბოდიალებდნენ ადამიანები, მაგიდაზე თეთრი ფხვნილი იყო მიმოფანტული. ყველანი გავყარე და გავითიშე, — განაცხადა მილიონერმა.

ბრიტანელის აღიარებით, ახალი ცხოვრების დაწყებაში სწორი კვება და ფიზიკური დატვირთვა დაეხმარა. ამ ყოველივეს შედეგად მან წონაში 44 კილოგრამი დაიკლო და მას შემდეგ არც ნარკოტიკებს და არც სპირტიან სასმელებს არ გაჰკარება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგი პოსიმპრესიონისტი მხატვარი; 2. მეთოთხმეტე საუკუნის სპარსელი პოეტი; 3. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 6. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. მწვავე სისხლნაკლებობა; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. ვულკანი ანტარქტიდაში; 14. საკანცელარიო ნივთი; 15. გიგანტური აფრიკული ფოთლოვანი ხე; 19. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში.

**თარაზულად:** 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 7. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 9. კაზაკთა დიდი სოფელი ყუბანში; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 12. შურისძიების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 16. ქართული კაჟიანი თოფი; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულებას ადგენენ მტკიცების გზით; 18. იტალიური ყველი; 20. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 21. თაფლგამოცლილი ფიჭა; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.



*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*